P.S.

თავისუფალი გაზეთი „პოსტსკრიპტუმი“

„ჩემო კალამო, ჩემო კარგო, რად გვინდა ტაში!“

წინასაარჩევნო გარემოს ხარვეზები ციფრებში

ფიქსირდება შემთხვევები, როცა ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოები სამსახურიდან სავარაუდო პოლიტიკური ნიშნით ათავისუფლებენ თანამშრომლებს

იხილეთ მე-2 გვერდზე

№20 (708) 16 - 22 ივნისი, 2014 | გამოდის 1995 წლიდან | ფასი: 70 თეთრი | PSnews.ge

ეწვიეთ გაზეთ „P.S.“-ის განახლებულ საინფორმაციო ინტერნეტპორტალს www.psnews.ge-ს, ყოველდღიურად იკითხეთ ცხელ-ცხელი ამბები და იყავით ინფორმირებული!

ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნები ქუთაისში: პროგრამები, დარღვევები და ზეწოლის ფაქტები

15 ივნისის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებში 12 თვითმმართველი ქალაქის მერი, 59 მუნიციპალიტეტში კი გამგებლები პირდაპირი წესით შეირჩა.

წელს თვითმმართველ ქალაქთა რიცხვს ქუთაისიც დაემატა, სადაც მერობისთვის 7 კანდიდატი იბრძოდა. საარჩევნო სუბიექტები განსაკუთრებით ბოლო პერიოდში გააქტიურდნენ, ყოველდღიური შეხვედრები მოსახლეობასთან, არასამთავრობო ორგანიზაციებთან, მედიასთან ბოლო ერთი თვის განმავლობაში ამ განრიგში უწევდათ ყოფნა საარჩევნო მარათონში ჩართულთ.

მნიშვნელობიდან გამომდინარე, თვითმმართველობის არჩევნები აქტიურობით გამოირჩეოდა. დაფიქსირდა დარღვევები.

მნიშვნელოვანი კანონდარღვევა, რაშიც მმართველ გუნდს ედავებოდნენ — „ქართული ოცნების“ მერობის კანდიდატის სასარგებლოდ ადმინისტრაციული რესურსის გამოყენებაა.

ასევე, ქუთაისის ადგილობრივ ხელისუფლებას მოსახლეობისთვის გადასახური მასალის დარიგების, შიდაგზების და ეზოების მოწესრიგების მაის-ივნისის თვეებში აქტიურ ფაზაში შესვლას ოპონენტები მოახლოებულ არჩევნებზე ამომრჩეველთა მოსყიდვად აფასებდნენ. თუმცა, ქუთაისის მერიაში აღნიშნავდნენ, რომ სამუშაოები გამოცხადებული ტენდერების ვადებით დაიწყო.

საარჩევნო კანონდარღვევაში დასდეს ბრალი „ოცნების“ მერობის ქუთაისელ კანდიდატს შოთა მურღულიას. მურღულიას საკრებულოს მიერ მიღებულ დადგენილებაზე პასუხისმგებლობის შეუსრულებლობაში ედავებოდნენ. კერძოდ კი, მურღულიამ აკრძალულ ადგილებში სააგიტაციო მასალის გაკვრაზე კონტროლი მერის მოვალეობის შემსრულებლად ყოფნის დროს აიღო. მოგვიანებით აკრძალულ ადგილებში თავად მურღულიას და „ქართული ოცნების“ მაჟორიტარობის კანდიდატების პლაკატები გამოჩნდა.

გაგრძელება მე-2 გვერდზე

ვინ ცრუობს – მურღულია თუ თევდორაძე?

იხილეთ მე-2 გვერდზე

ნუ გაებმებით საკრედიტო მახეებში

საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტი მომხმარებლებს ე.წ. საკრედიტო მახეების შესახებ აფრთხილებს

იხილეთ მე-3 გვერდზე

საატესტატო გამოცდების სიებს მიღმა დარჩენილი მოსწავლეები გამოცდას შემოდგომაზე ჩააბარებენ

იხილეთ მე-3 გვერდზე

პირად გარჩევებამდე მისული ბიბლიოთეკის საქმიანი დავა

ვინ არის დამნაშავე უნიკალური ფონდის დაზიანებაში

იხილეთ მე-4 გვერდზე

ქიმერიონი
qimerioni.ge
წიგნების მაღაზია
მისამართი: ქუთაისი, „პოპული“; ტელ.: 790 927 927.

წიგნები
შენ გელოდება!
ქუთაისი, სავაჭრო ცენტრი „პოპული“, წიგნების მაღაზია „ქიმერიონი“. ტელ.: (790) 927 927.

„მისის პლანეტაზე“ საქართველოს ქუთაისელი „ანჯელინა ჯოლი“ წარადგენს

იხილეთ მე-5 გვერდზე

„პლანის მოწევაზე კაცის დაჭერა ვის გაუგია? ეს ველურობაა!“

ირაკლი ღარიბაშვილი:

„მანამ, სანამ ჩვენ ვართ ხელისუფლებაში, ეს არ მოხდება...“

იხილეთ მე-5 ვერდზე

სკანვორდი — გვ. 7

კროსვორდი — გვ. 7

PSnews.ge

ISSN 1987-7056

წინასაარჩევნო გარემოს ხარვეზები ციფრებში

ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის ანგარიშის მიხედვით, 1 მაისიდან 10 ივნისამდე პერიოდში დაფიქსირდა ოპონენტებზე თავდასხმის — 2, ფიზიკური დაპირისპირებისა და ძალადობის — 4, წინასაარჩევნო კამპანიაში ხელშეშლის – 9, ადმინისტრაციული რესურსის გამოყენების — 2, სავარაუდოდ აგიტაციის წესების დარღვევის — 1, სამსახურიდან გათავისუფლების — 2, პოლიტიკური რეკლამის განთავსების წესების დარღვევის — 1 ფაქტი. საია-ს შეფასებით, აღნიშნული ფაქტები აზიანებდა წინასაარჩევნო გარემოს და საფრთხეს უქმნიდა თავისუფალ, კონკურენტულ პირობებში საარჩევნო კამპანიის წარმოებას.

საია-ს ანგარიშში მოყვანილი აქვს 28 მაისის დაპირისპირება გარდაბანში, 24 მაისს, რუსთავში ერთიანი ნაციონალური მოძრაობის საარჩევნო შტაბთან ქართული ოცნების აქცია, 12 მაისის დაპირისპირება წყალტუბოში, 6 ივნისის დაპირისპირება ზუგდიდში, 7 ივნისის დაპირისპირება ბათუმში. ასევე, 14 მაისს, არასაპარლამენტო ოპოზიციის ქუთაისის ადგილობრივი ლიდერის, ხოლო 21 მაისს საქართველოს გზის ბათუმის საკრებულოს მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატის ირაკლი ირემაძის დაკავების ფაქტები.

საია ანგარიშში საუბრობს აგიტაციაში ხელშეშლაზეც. კერძოდ, 31 მაისს, ფონიჭალაში ენმ-ის კრწანისის რაიონის მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატის ხათუნა ბერძენიშვილის მხარდამჭერი აქცია-კონცერტი გაიმართა, რომელმაც დაპირისპირების ფონზე ჩაიარა. ასევე, ანგარიშში მოხვდა 28 მაისის ინციდენტი რუსთავში, როდესაც დაპირისპირება მოჰყვა სამოქალაქო განვითარების სააგენტოში ჩატარებულ ქართული ოცნების ტრენინგს.

***

რაც შეეხება სააგიტაციო მასალის გავრცელებაში ხელშეშლის ფაქტებს, საიას განცხადებით, 2014 წლის 2 ივნისს ბათუმის საკრებულოს წინ მშენებარე კორპუსის ღობეზე, ძველი ბათუმის მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატის ირაკლი ჩავლეიშვილის პლაკატების გარდა, ყველა პოლიტიკური პარტიის საარჩევნო პლაკატები შავად იყო გადაღებილი. ერთიანი ნაციონალური მოძრაობის მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატმა ირაკლი თავართქილაძემ საკრებულოს თავმჯდომარე სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენებაში დაადანაშაულა. მისი განცხადებით, ბრძანება ირაკლი ჩავლეიშვილმა პირადად გასცა. ასევე, 25 მაისს არასაპარლამენტო ოპოზიციის წარმომადგენლებს სოსო ბორცვაძეს და ერთიანი ნაციონალური მოძრაობის წარმომადგენლებს ქართული პარტიის წარმომადგენლებმა არ მისცეს პლაკატების გაკვრის შესაძლებლობა. ხოლო, 14 მაისს, ნინო ბურჯანაძე — ერთიანი ოპოზიციის ქალაქ თელავის საკრებულოს პროპორციული სიის დეპუტატობის კანდიდატმა მაკა მოსიაშვილმა ჟურნალისტებისათვის ბრიფინგი გამართა და განაცხადა, რომ მის პარტიას გამგებლისა და მერობის კანდიდატების სარეკლამო ბანერების გაკვრის საშუალებას არ აძლევდნენ, მაშინ როდესაც ქართულ ოცნებას უპრობლემოდ ჰქონდა ბანერებზე წვდომა.

ანგარიშის მიხედვით, ფიქსირდება შემთხვევები, როცა ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოები სამსახურიდან სავარაუდო პოლიტიკური ნიშნით ათავისუფლებენ თანამშრომლებს. აღნიშნული ფაქტების შესახებ საიამ ინფორმაცია თავისუფალი და სამართლიანი არჩევნებისათვის უწყებათაშორის კომისიას მიაწოდა. აღნიშნულ პერიოდში საიამ სამსახურიდან გათავისუფლების 2 ფაქტი დააფიქსირა.

***

„2014 წლის 2 მაისს წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის, კახა ბაბუნაშვილის ბრძანებით, ამავე მუნიციპალიტეტის გამგებლის მოადგილეს ავთანდილ მოწონელიძეს დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომად სამსახურიდან გათავისუფლება შეეფარდა. საკრებულოს თავმჯდომარის ბრძანებას საფუძვლად დაედო გამგებლის, კონსტანტინე მამისეიშვილის წერილი მოწონელიძის გათავისუფლების მოთხოვნით. თანამდებობიდან გათავისუფლების ბრძანებაში აღნიშნულია, რომ ავთანდილ მოწონელიძეს „პრაქტიკულად, თანამდებობრივი ინსტრუქციით დამტკიცებული არც ერთი ვალდებულება არ შეუსრულებია, შესაბამისად, ცხადია, რომ მან არაჯეროვნად შეასრულა თავისი სამსახურებრივი მოვალეობა" — რაც გახდა დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრების საფუძველი. მოწონელიძემ სამართლებრივი დახმარების თხოვნით საიას ქუთაისის ფილიალს მიმართა. მისი განცხადებით, სამსახურიდან გათავისუფლება პოლიტიკური მოტივებითაა ნაკარნახევი, ვინაიდან იგი წინა ხელისუფლების დროს დაინიშნა თანამდებობაზე და გამგებლისთვის ნაციონალურ მოძრაობასთან ასოცირდება. ავთანდილ მოწონელიძე აცხადებს, რომ „2014 წლის 2 მაისს გამგებელმა კონსტანტინე მამისეიშვილმა დაიბარა და განუცხადა, რომ, მართალია, ეს მისი სურვილი არ არის, მაგრამ „ზევიდან" უთხრეს, რომ უნდა გაათავისუფლოს სამსახურიდან. მოწონელიძემ ჰკითხა, თუ ვინ არის „ზევიდან" ბრძანების გამცემი, რაზეც პასუხი ვერ მიიღო. იმავე დღეს გამოიცა ბრძანება მისი სამსახურიდან გათავისუფლების თაობაზე" — ნათქვამია საია-ს ანგარიშში და იქვე მოყვანილია გურჯაანის მუნიციპალიტეტში სპეციალისტის გათავისუფლების ფაქტი.

***

„2014 წლის 15 მაისს გურჯაანის მუნიციპალიტეტის გამგებელმა ემზარ ჯიქურაშვილმა გურჯაანის მუნიციპალიტეტის სოფელ კაჭრეთის ტერიტორიული ორგანოს სპეციალისტი ოთარ მირიანაშვილი თანამდებობიდან გაათავისუფლა. გათავისუფლების საფუძვლად მირიანაშვილის მიერ შრომითი ხელშეკრულებითა და შრომის შინაგანაწესით დაკისრებული ვალდებულებების შეუსრულებლობა დასახელდა. ოთარ მირიანაშვილმა სამართლებრივი დახმარების თხოვნით საია-ს თელავის ოფისს მიმართა. კახეთის საინფორმაციო ცენტრის მიერ გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, ემზარ ჯიქურაშვილი ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებში გურჯაანის საკრებულოში კოალიცია „ქართული ოცნების" მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატია სოფელ კაჭრეთიდან, ხოლო გათავისუფლებული მირიანაშვილი ამავე სოფლიდან საინიციატივო ჯგუფის მიერ წარდგენილი საკრებულოს მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატის გივი რამაზაშვილის მხარდამჭერი. საია-ს თანამშრომლებთან საუბრისას, ოთარ მირიანაშვილმა განაცხადა, რომ მისი სამსახურიდან გათავისუფლების რეალური საფუძველი გივი რამაზაშვილთან ახლო მეგობრობაა, ვინაიდან რამაზაშვილი ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებზე ემზარ ჯიქურიშვილის კონკურენტად მოიაზრება. გათავისუფლებული პირის თქმით, მას არაერთხელ მოსთხოვეს ნებაყოფლობით სამსახურის დატოვება. კერძოდ, გურჯაანის მუნიციპალიტეტის გამგებლის მოადგილემ სოფლის მეურნეობის დარგში გიორგი ჩეკურიშვილმა მას სამსახურიდან გათავისუფლების თაობაზე განცხადების დაწერა მოსთხოვა, რაზედაც უარი მიიღო" — ნათქვამია ანგარიშში.

ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნები ქუთაისში: პროგრამები, დარღვევები და ზეწოლის ფაქტები

პირველი გვერდიდან

თავის მხრივ, მურღულიამ პასუხისმგებლობა მმშ ნოდარ მიქიაშვილს გადააბარა და თქვა, რომ კონტროლი მან უნდა გაუწიოს. მისივე თქმით, როდესაც ხელი მოაწერა მმშ იყო, ახლა კი მერობის კანდიდატია, ამიტომ მერის მოვალეობის შემსრულებლად ყოფნის დროს აღებული პასუხისმგებლობა, ამჯერად მასზე აღარ ვრცელდება, თუმცა დაადასტურა, რომ აკრძალულ ადგილებში პლაკატების გაკვრა კანონდარღვევაა, რასაც არამარტო მმართველი გუნდი, არამედ ყველა პარტია ახორციელებდა.

აკრძალულ ადგილებზე რომ გააკრეს პლაკატები, არ მალავენ ოპოზიციურ პარტიებშიც, თუმცა აცხადებდნენ, რომ მათ კანონი მმართველი გუნდის მიბაძვით დაარღვიეს.

საინტერესოა ის ფაქტიც, რომ საარჩევნო სუბიექტები კონკურენტების ჩამოცილებას მათი საარჩევნო პლაკატების ჩამოხევით ცდილობდნენ, ან მათზე თავიანთი პლაკატის გაკვრით ცდილობდნენ.

რამდენიმე კანდიდატმა ოპონენტების სასარგებლოდ კანდიდატურებიც მოიხსნეს. კანდიდატურების მოხსნის ფაქტები დაფიქსირდა რაიონებშიც, რაც არა კეთილი ნებით, არამედ მათი განცხადებით, ხელისუფლების მხრიდან განხორციელებული ზეწოლის გამო მოხდა.

15 ივნისის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებიდან ერთ თვეში ქუთაისის ახალი მოწვევის 24-კაციანი საკრებულო დაკომპლექტდება, როგორი იქნება მისი შემადგენლობა, რამდენიმე დღეში გახდება ცნობილი.

ასევე ცნობილი გახდება ქუთაისის ახალ მერს ამომრჩეველთა 50%+1 დაუჭერს მხარს, თუ დაინიშნება მეორე ტური.

როგორც აღვნიშნეთ, ქუთაისის პირველობისთვის 7 კანდიდატი იბრძვის, ამათგან ორი ქალი კანდიდატია. 7 კანდიდატიდან ერთ-ერთი ქუთაისის მერის სტატუს და სავარძელს მოირგებს.

კანდიდატთა საარჩევნო პროგრამები თითქმის იდენტური იყო, რასაც პოლიტიკური პარტიები ქალაქის პრობლემებიდან გამომდინარე ხსნიდნენ. ხელმისაწვდომი ჯანდაცვა, გაუმჯობესებული სოციალური პაკეტი, გზების და წყლის პრობლემის მოწესრიგება, განათლება — ეს არის პრიორიტეტთა ჩამონათვალი, რომელთაც ზოგიერთმა კანდიდატმა ქუთაისელებისთვის გათვალისწინებული ყოველდღიური, ერთჯერადი უფასო კვებაც დაუმატა.

თუმცა რეალურად რა არის ქუთაისის და ქუთაისელთა პრობლემა, უფუნქციოდ დარჩენილი ქალაქი, ინფრასტრუქტურული პროექტები, საუნივერსიტეტო ქალაქი, ყოველდღიური ულუფა თუ რაღაც ბევრად მნიშვნელოვანი, ამის გარკვევას უშუალოდ ქუთაისელებისგან არავინ დაინტერესებულა. მათ აქცენტი იმ პრობლემაზე გააკეთეს, რაც მათი აზრით არის მნიშვნელოვანი და არა ადგილობრივებისთვის.

ნესტან ჩაგელიშვილი

მთავარი რედაქტორი:
ნატო გუბელაძე

დიზაინი: ირმა ბახუტაშვილი

ოპერატორი და კორექტორი:
ლალი კუპრაშვილი

გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით. არ გამოხატავს არცერთი პოლიტიკური პარტიის ინტერესებს. ავტორთა მოსაზრება შეიძლება, არ ემთხვეოდეს რედაქციისას.

B — ნიშნით აღნიშნულია სტატია, რომელიც განთავსებულია სარეკლამო ფართზე

გამომცემელი — შპს „P.S." („პოსტსკრიპტუმი").
ქუთაისის სასამართლოს რეგისტრაცია
№5/ბ-1401

გაზეთ „P.S."-ის კლასიფიკაციის კოდი:
UDC (უაკ) 3+32] (479.22) (054)
პ - 658
P - 86

მისამართი: ქუთაისი. რუსთაველის გამზირი №37ª. პრესის სახლი.

- (032) 2 422 470, (0 431) 24-45-46.
- psnews27@gmail.com
- www.psnews.ge

ვინ ცრუობს – მურღულია თუ თევდორაძე?

არახალია, რომ ქუთაისის 24-საათიანი წყალმომარაგების სისტემა ყველა მთავრობის აქილევსის ქუსლია. მიუხედავად არაერთი დაპირებისა, ქალაქის დიდი ნაწილი ჯერ კიდევ გრაფიკით იღებს წყალს, რაც გახდა მიზეზი იმისა, რომ წყალმომარაგების სისტემის რეაბილიტაცია ყველა პოლიტიკური სუბიექტის საარჩევნო პროგრამის ერთ-ერთი უმთავრესი პრიორიტეტია.

„ქართული ოცნებიდან" ქუთაისის მერობის კანდიდატის შოთა მურღულიას განცხადებამ იმასთან დაკავშირებით, რომ ქუთაისის წყალმომარაგების 24-საათიანი პროექტი მის მიერ დაიწყო და თავადვე დაასრულებს, მერობის „ნაციონალი" კანდიდატის და ქალაქის ყოფილი მერის, გია თევდორაძის უკმაყოფილება გამოიწვია. თევდორაძე მურღულიას პოლიტიკური სპეკულაციებისგან თავის შეკავებას ურჩევს.

მურღულიამ კი აღნიშნა, რომ ის მასშტაბურ პროექტს გულისხმობდა და არა 10-ლარიან სამუშაოებს, როგორც ეს თევდორაძის მერობის დროს ხდებოდა.

„მე, შოთა მურღულია, როცა ვიყავი რეგიონული განვითარების მინისტრის მოადგილე, სწორედ ამ დროს ქუთაისის 24-საათიანი წყლის სისტემის პროექტთან დაკავშირებით აზიის განვითარების ბანკის წესების დაცვით გამოცხადდა 26-მილიონიანი ტენდერი. გამოვლინდა გამარჯვებული, დაიდო კონტრაქტი და დაიწყო სამუშაოები. აქვე შევახსენებ თევდორაძეს, რომ მე მინისტრის მოადგილე 2012 წლის ოქტომბრის ბოლოდან ვიყავი და ამ დროს თევდორძე არ იყო მერი. როდესაც სამუშაოებს ვახსენებ, მასშტაბურ სამუშაოებს ვგულისხმობ და არა მილის გამოცვლას და გამსკდარი მილის ხის საცობით გამაგრებას. როგორც ეს თევდორაძის მერობის დროს ხდებოდა. 10-ლარიანი სამუშაოები ყოველთვის კეთდებოდა, მაგრამ 26-მილიონიან პროექტზე საუბარი, რომლის ფარგლებშიც სამუშაოები ახლა მიმდინარეობს, პირადად ჩემს მიერ იქნა წარმოებული. ამაზე ვესაუბრე მათ, მაგრამ, როგორც ჩანს, მოსმენა არ უნდათ. ჩვენ „ნაციონალებივით" მხოლოდ ერთ უბანს არ ვუგვარებთ წყლის პრობლემას, არამედ მთელ ქალაქს. პროექტის დასასრულს ქუთაისში 24-საათიანი წყალი იქნება," — განაცხადა შოთა მურღულიამ.

მურღულიას განცხადებას წინასაარჩევნო კარგ პოლიტიკურ გათვლად მიიჩნევს თევდორაძე, თუმცა აღნიშნავს, რომ მერობის „ოცნების" კანდიდატი ცრუობს, როდესაც წყალმომარაგების სისტემის 26-მილიონიან პროექტს საკუთარ გამარჯვებად აცხადებს, ამავდროულად, „ოცნების" კანდიდატს იაფფასიანი პოლიტიკური რიტორიკისგან თავის შეკავებას ურჩევს.

„თქვენი სააგენტოს მეშვეობით მინდა ვუთხრა მურღულიას, იაფფასიან პოლიტიკურ რიტორიკას თავი დაანებოს. შოთა მურღულიას პატივს ვცემ, რადგან ახალგაზრდა ქუთაისელი კაცია და წიგნიერებიდანაც არ უნდა იყოს შორს. მაგრამ ეტყობა, პოლიტიკური სპეკულაციის მაცდურმა სურვილმა სძლია. ამიტომ აკეთებს მსგავს განცხადებას. წყალმომარაგების რეაბილიტაცია 2009 წელს დაიწყო. 2012 წლის არჩევნების შემდეგ 25-მილიონიანი პროექტის ფარგლებში, რომელიც დაპროექტებული დავტოვეთ, ერთი მონაკვეთიც არ გაკეთებულა. თუკი ქუთაისელებს მოკლე მეხსიერება აქვთ, მაშინ მურღულიას პოლიტიკურ სპეკულაციას გამართლება აქვს, სხვა შემთხვევაში, თვითონ აყენებს შეურაცხყოფას საკუთარ თავს და ქალაქს. ჩვენი მმართველობის პერიოდში ქალაქის 20% 24-საათიან წყალმომარაგების სისტემაზე გადავიდა, დანარჩენი 80% კი ყოველდღიურ გრაფიკზე. ახალი ხელისუფლების მმართველობის პერიოდში კი ამ რიცხვს ერთი პროცენტიც არ დამატებია," — განაცხადა გია თევდორაძემ.

ნესტან ჩაგელიშვილი
psnews.ge

თანადგომა და ქველმოქმედება

თანადგომა და ქველმოქმედება დღევანდელ სწრაფცვალებად სამყაროში ცხოვრების პირობების შემსუბუქების აუცილებელი პირობაა.

საბედნიეროდ, არსებობენ ისეთი ადამიანები, რომელთაც გულთან მიაქვთ სხვისი სატკივარი და ცდილობენ, შეუმსუბუქონ მათ ყოფა. ასეთ ადამიანთა რიცხვს განეკუთვნებიან შპს სასწავლო ცენტრ „KGSL"-ის დამფუძნებლები: ეგნატე სანდუხაძე და იური გაჩეჩილაძე, სკოლის დედაბოძი, ქალბატონი მადლენა მახვილაძე, სკოლის დირექტორი დალი ჩხაიძე და მოადგილე სასწავლო დარგში ნატო ფილიპია.

ულამაზესი დღე გვაჩუქეს ა/წ 3 ივნისს ინკლუზიური სწავლების ცენტრსა და მის აღსაზრდელებს სკოლა „KGSL"-ის ხელმძღვანელობამ, მასწავლებლებმა და მოსწავლეებმა.

მოსწავლეები (გიორგი ხვადაგიანი, ნინი მუსელიანი, ნიკა თვალჭრელიძე, ლევან დვალი, გიორგი გურგუჩიანი, ირაკლი ყიფიანი, ლუკა უგლავა, კობა ივანეიშვილი, მარიამ ივანეიშვილი, მარიამ ჟორჟოლიანი, ეთო ონიანი, ქრისტინე განუგრავა, ანი ნემსიწვერიძე, ნინო ცქიფურიშვილი, თამაზ სვანიძე, ილია ბოჭორიშვილი, ბორის ამბროლაძე) მუსიკის მასწავლებელ ლელა კაპანაძისა და ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელ ცირა კვესტაძის უშუალო ხელმძღვანელობით, ლიტერატურულ-მუსიკალური კომპოზიციით წარსდგნენ ჩვენი მოსწავლეების წინაშე, თბილი და გულში ჩამწვდომი სიტყვებით მიესალმნენ მათ, სიხარული და სიყვარული აგრძნობინეს უნარშეზღუდულებს, გულში ჩაიკრეს და უბედნიერეს ადამიანებად აქციეს ისინი. სტუმრებმა საჩუქრები და მატერიალური დახმარებაც არ დაიშურეს ინკლუზიური ცენტრის აღსაზრდელთა მიმართ. არც არის გასაკვირი მათი მხრიდან ასეთი დიდსულოვნება, რადგან ეს არის საინტერესო შინაარსისა და საუკეთესო მაჩვენებლების მქონე სკოლა, სადაც ასწავლიან გამოცდილი, წარჩინებული და მკვლევარი მასწავლებლები, სადაც დაწყებითი კლასები ადგილზე ახდენენ ახალი მასალის შესწავლა-ათვისებას, სადაც, მესამე საფეხურზე მიმდინარეობს ქართული ენისა და ლიტერატურის, მათემატიკის, უცხოური ენების, უნარებისა და არჩევითი საგნების გაძლიერებული სწავლება, სადაც, საატესტატო და ეროვნული გამოცდები ყოველთვის 100%-იანი შედეგით მთავრდება.

დიდი მადლობა სკოლა „KGSL"-ის დირექციას, პედაგოგიურ კოლექტივსა და მოსწავლეებს განსაკუთრებული თანადგომისა და ადამიანური სითბოსათვის. ეს არ იყო მოვალეობის მოხდის მიზნით შესრულებული ქველმოქმედება, ეს იყო უნარშეზღუდული ბავშვებისადმი გულითა და სულით მიძღვნილი ღონისძიება, დიდი თანაგრძნობა, უდიდესი გულისხმიერება და მეგობრობის ხელის გამოწვდომა.

სულ მალე ინკლუზიური სწავლების ცენტრი ახალმოსახლეობას იზეიმებს და თქვენ („KGSL"-ის სასწავლო ცენტრი), ჩვენთან ერთად, ამისი მონაწილე გახდებით. ჩვენი თანამშრომლობა გაგრძელდება, რამეთუ თქვენი მადლიანი სიტყვა და სიყვარული ყოველთვის წაადგება უნარშეზღუდულთა სწავლების ცენტრს.

შორენა ამაღლობელი
ინკლუზიური სწავლების ცენტრის დირექტორი

საატესტატო გამოცდების სიებს მიღმა დარჩენილი მოსწავლეები გამოცდას შემოდგომაზე ჩააბარებენ

ქუთაისის №1 საჯარო სკოლის მეათე კლასის მოსწავლის, ნოდარ იაშვილის მშობელი, შვილის ერთიან საგამოცდო სიაში ვერმოხვედრას აპროტესტებს.

ნესტან იაშვილის განცხადებით, მისმა შვილმა მეათე კლასში ექსტერნის 24 გამოცდა ჩააბარა, თუმცა, როგორც 12 ივნისს შეიტყვეს ტექნიკური მიზეზების გამო, ერთიანი ეროვნული გამოცდების გასავლელ მე-11 კლასის საატესტატო გამოცდების ერთიან სიაში ვერ მოხვდა. რის გამოც გამოცდებიდან მოიხსნა.

როგორც იაშვილი აღნიშნავს, სკოლის დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის, ნუნუ სიმსივეს მიერ არ მოხდა მე-11 კლასის მოსწავლედ ნოდარ იაშვილის დარეგისტრირება.

საგამოცდო ცენტრმა იაშვილი 12 ივნისს დაარეგისტრირა, თუმცა ერთიან სიაში მოსახვედრად ვადები 6 ივნისს დასრულდა. ამჯერად კი, ელექტრონული სიის გახსნა და მონაცემების ხელით შეყვანაა საჭირო.

ნესტან იაშვილი განათლების სამინისტროს და გამოცდების ეროვნული ცენტრის დირექტორს მაია მიმინოშვილს მიმართავს, რომ დროულად მოხდეს ნოდარ იაშვილის სიაში ჩასმა, წინააღმდეგ შემთხვევაში, მას ერთი წელი ეკარგება და მომავალში 4 გამოცდის ნაცვლად 8 გამოცდის ჩაბარება მოუხდება.

საატესტატო გამოცდების მონაწილეთა საგამოცდო ფურცლების დარიგება 13 ივნისს დასრულდა.

ქუთაისში გამართულ ბრიფინგთან დაკავშირებით გამოცდების ეროვნულმა ცენტრმა კომენტარი გააკეთა. როგორც ცენტრის პიარმენეჯერმა მაია გაბუნიამ გაზეთ „P.S."-სთან საუბარში განაცხადა, ის ბავშვები, რომლებიც გარკვეული მიზეზების გამო საატესტატო გამოცდების ერთიან სიაში ვერ მოხვდნენ, საატესტატო გამოცდას შემოდგომაზე ჩააბარებენ.

„რამდენადაც ვიცი, არსებული პრობლემა უკვე ამოწურულია. ვესაუბრეთ იმ ბავშვების მშობლებს, რომელთაც მსგავსი პრობლემა შეექმნათ და ავუხსენით, რომ ბავშვების დამატება ერთიან სიაში ვერ მოხერხდებოდა, რადგან შესაძლოა, ამ პროცესმა რისკები შექმნას და მთელ პროცესს შეუქმნას საფრთხე. გამოსავალი, რომელიც მაია მიმინოშვილმა მათ შესთავაზა არის სამართლიანი, მათთვის გამოცდა შემოდგომაზე დაინიშნება და ერთი წლის დაკარგვა და 8 გამოცდის ჩაბარება არ მოუწევთ. ეს გამონაკლისიც იმიტომ დავუშვით, რომ პრობლემა სკოლის მიერ დაიშვა და ბავშვები არაფერ შუაში არ არიან. თუმცა, მშობლებიც და ბავშვებიც ყურადღებით უნდა ყოფილიყვნენ, რადგან მათ წინასწარ ხელი უნდა მოეწერათ და ბარათი მიეღოთ, ეს რომ არ მოხდა, ამით უნდა დაინტერესებულიყვნენ. ვინაიდან ეს ბავშვები ექსტერნები იყვნენ, ალბათ, ამიტომ დაავიწყდათ დირექტორებს მათი სიაში შეყვანა და რაიმე მიზანმიმართულ ფაქტს ადგილი არ ჰქონია. რაც შეეხება დირექტორის პასუხისმგებლობის საკითხს, ჩვენს ცენტრს არანაირი უფლება და არც მიზანი არ აქვს ვინმეს პასუხისმგებლობის საკითხი დააყენოს," — განაცხადა ერთიანი ეროვნული გამოცდების ცენტრის პიარმენეჯერმა მაია გაბუნიამ.

როგორც ცნობილია, საქართველოს მასშტაბით, ერთიან საგამოცდო სიაში 17 ბავშვი ვერ მოხვდა, აქედან ორი ქუთაისის №1 საჯარო სკოლის მეათე კლასის მოსწავლეა.

ნესტან ჩაგელიშვილი

ნუ გაეგმეგით საკრედიტო მახეებში

საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტი მომხმარებლებს ე.წ. საკრედიტო მახეების შესახებ აფრთხილებს

ე.წ. საკრედიტო მახეების საკითხთან დაკავშირებით, ქადაგიძე საბანკო სექტორის წარმომადგენლებს ეროვნულ ბანკში შეხვდა. შეხვედრის შემდეგ კი ჟურნალისტებს განუცხადა, რომ მნიშვნელოვანია, მომხმარებლებმა სესხის აღებისას არა მხოლოდ კარგად წაიკითხონ ხელშეკრულებები, არამედ მაქსიმალური სიფრთხილე გამოიჩინონ ისეთი პროდუქტების მოხმარების დროს, როგორებიცაა განვადება, საკრედიტო ბარათი და სესხის გადაფარვა.

„უკანასკნელი ტენდენციების ანალიზი ცხადჰყოფს, რომ მნიშვნელოვნად იზრდება საცალო დაკრედიტება სამომხმარებლო სექტორში. თუ ამას დავუმატებთ მიკროსაფინანსო ორგანიზაციებს, ლომბარდებს, მომენტალურ განვადებებს და სხვა, ვიღებთ სურათს, როცა ვალის მომსახურების ტვირთი მოსახლეობის გარკვეულ ნაწილში არის საკმაოდ მაღალი და კიდევ უფრო გაზრდის შემთხვევაში ის შეიძლება დიდ საფრთხეებს შეიცავდეს. ისეთი დაბალი შემოსავლის მქონე ქვეყანაში, როგორიც საქართველოა, არაფერია გასაკვირი იმაში, რომ ადამიანების ნაწილს ფინანსური პრობლემა შეექმნას. ასეთ შემთხვევაში სავარაუდოა, რომ ის მიაკითხავს შესაბამის ინსტიტუტს სესხის რესტრუქტურიზაციის მიზნით. პრობლემა და არაეთიკური პოლიტიკა კი არის ზუსტად იმაში, რომ ესა თუ ის საკრედიტო ინსტიტუტი ასეთ ადამიანს სთავაზობს ახალ სესხს ძველი სესხის გადასაფარად. როგორც წესი, ეს არის საკითხის დროებითი მოგვარება და არაფუნდამენტურად. თითოეულ ასეთ შემთხვევაზე ჩვენ გვექნება ადეკვატური რეაგირება, თუმცა არის მეორე ფაქტორიც — მინდა უშუალოდ მომხმარებლებს ვთხოვო, გავაფრთხილო, მოვუწოდო, რომ არა მარტო ხელშეკრულებები წაიკითხონ კარგად, არამედ მაქსიმალური სიფრთხილე გამოიჩინონ ისეთი პროდუქტების მოხმარების დროს, როგორიცაა განვადება, საკრედიტო ბარათები, სესხის გადაფარვა, რაც ყველაზე ძვირი პროდუქტებია როგორც საქართველოში, ისე მთელ მსოფლიოში. ამიტომ, როცა ასეთი ძვირადღირებული პროდუქტის მოხმარებას ვირჩევთ, უნდა ვიყოთ მაქსიმალურად ფრთხილად და კარგად დავგეგმოთ საკუთარი ფინანსები. ფუფუნების საგნების კრედიტით შეძენა რისკების შემცველია," — განაცხადა გიორგი ქადაგიძემ.

მისი თქმით, ბანკების მხრიდან საკრედიტო პოლიტიკის კლიენტის მოთხოვნილებებზე მაქსიმალურად მისადაგება უნდა მოხდეს.

„მხოლოდ ის,რომ პრობლემური სესხი გადავფაროთ ახალი სესხით, ან როგორც ხშირ შემთხვევაში ხდება ხოლმე, ავიღოთ ერთი ბარათი, მერე მეორე ბარათი, და შემდეგ განვადება გავაკეთოთ, პრობლემას არ ხსნის. ასეთ დროს, რაღაც მომენტში აღმოვაჩენთ, რომ ვალის მომსახურების ტვირთი პროდუქტების ფართო სპექტრზე არის საკმაოდ მაღალი, გვექმნება პრობლემა, მერე მივდივართ ვიღებთ დიდ სესხს, რომ ეს ყველაფერი გადავფაროთ, ამ დიდი სესხის ქვეშ კი უზრუნველყოფაში ვდებთ უკვე უძრავ ქონებას. ამ პროცესს, რომელიც მე აგიღწერეთ, ჰქვია „კლასიკური საკრედიტო მახე". ეს რომ არ მოხდეს, აუცილებელია, ერთი მხრივ, მომხმარებელმა ბოლომდე გაიაზროს ის რისკები, რაც დაკავშირებულია ძვირადღირებულ საკრედიტო პროდუქტებთან და მეორე მხრივ, ბანკებმა ადეკვატურად შეაფასონ და ისინი მაქსიმალური პასუხისმგებლობით მიუდგნენ ასეთ მომხმარებლებს. შესაბამისად, ჩვენ ორი მიმართულებით ვმუშაობთ — პირველი — მოხდეს ბანკების მხრიდან საკრედიტო პოლიტიკის მაქსიმალურად მისადაგება კლიენტის მოთხოვნილებებზე და მეორე — მოხდეს მაქსიმალური გამჭვირვალობა იმ პროდუქტების, რომლებზეც ვსაუბრობთ. ძალიან მნიშვნელოვანია, რომ მომხმარებელს ესმოდეს ყველა საფრთხე, რომელიც გამომდინარეობს ასეთი პროდუქტების მოხმარებისგან," — განაცხადა ქადაგიძემ.

პირად გარჩევებამდე მისული ბიბლიოთეკის საქმიანი დავა

ვინ არის დამნაშავე უნიკალური ფონდის დაზიანებაში

საჯარო ბიბლიოთეკაში „იშვიათი განყოფილების" შექმნის და აქ დაცული თუ დაზიანებული პერიოდული გამოცემების ირგვლივ ატეხილი აჟიოტაჟი მხარეებს შორის პირად შეურაცხმყოფებსა და დაპირისპირებაში გადაიზარდა.

დავის საგანი ერთია — განადგურებამდე დაზიანებული პერიოდული გამოცემები, ვერსიები კი რამდენიმე. პირველი და მთავარი ვერსია „ფრონტის" ერთ მხარეს არის ის, რომ უნიკალური ფონდის უნიკალურობა რაოდენობასთან ერთად, გამოცემების განყოფილებაში გადატანამ შეიწირა, ფრონტის მეორე მხარეს კი სხვა სიმართლე და სხვა ვერსიები ისმის: „უნიკალური ფონდის ადგილმონაცვლეობა უარესიდან უკეთეს გარემოში მოხდა და ახალ საცავში დაცული გამოცემები თუ უკეთ არ დაცულა, არც დაზიანებულა."

თუმცა, მთელი ამ „უიარაღო ომების" პირობებში როგორც მკითხველის, ისე ბიბლიოთეკის ბედით დაინტერესებულთა მოლოდინი და ინტერესი არა ვერსიები, არამედ ფაქტებია. ამ საქმის ირგვლივ ერთადერთი ფაქტი, რომელიც დავას არ საჭიროებს, არის ის, რომ უნიკალური პერიოდული გამოცემები მართლაც დაზიანებულია და ნებისმიერ ბიბლიოთეკასა და საცავში უნდა იყოს შესაძლებლობა და ნება იმისა, ყველა გამოცემას, ცელოფნის ნაცვლად, ჰქონდეს მუყაოს ყდა და გადაუდებელი საჭიროების შემთხვევაში შეიწამლოს და ჩაუტარდეს რესტავრაცია.

ეს რაც შეეხება უდავო ფაქტებს, თუმცა მთავარი გარემოებები სკანდალური საბიბლიოთეკო საქმეების „გარჩევაში" დღემდე სადავოა.

როდის და ვისი მიზეზით დაზიანდა უნიკალური ფონდი?

და რეალურად, გაფორმდა თუ არა აუცილებელი წერილობითი აქტი გამოცემების ერთი ფონდიდან მეორეში გადატანის თაობაზე?

პირველი კითხვის პასუხად კომისიის ის დასკვნა გამოდგება, რომელიც უახლოეს მომავალში მომზადდება.

რაც შეეხება მეორე კითხვას, აქტის შედგენა-არშედგენის თაობაზე (რაზეც გაზეთის წინა ნომერშიც დაიწერა) — ფონდი აქტის შეუდგენლად გავიდა თუ არა? (თუმცა ეს ფრაზა ბიბლიოთეკის მაშინდელმა და აწ უკვე ყოფილმა დირექტორმა მერაბ გვაზავამ სტატიის ავტორს ტენდენციურობასა და მიმნდობლობაში ჩაუთვალა და ღია წერილში იკითხა: თუ „რატომ ენდო ჟურნალისტი სიტყვაზე მაია მიქაბერიძეს და არ მოიძია მიღება-ჩაბარების აქტი თუნდაც დირექტორისგან?"). პასუხი ასეთია, პირველივე სტატიის მომზადებამდე ჟურნალისტმა, რა თქმა უნდა, იგი მოიძია, თუმცა არ გამოითხოვა აქტი დირექტორისგან, რადგანაც კითხვაზე: არსებობდა თუ არა მიღება-ჩაბარების აქტი? პასუხი იყო — არა.

ბიბლიოთეკის მაშინდელი დირექტორის მერაბ გვაზავას ვრცელ წერილში, რომელიც გაზეთ „P.S."-ის წინა ნომერში განთავსდა, ბიბლიოთეკის სკანდალზე მომზადებული სტატიის ავტორის მისამართით იკითხება: „ავტორს სურვილის შემთხვევაში, ძალიან მარტივად შეეძლო, გარკვეულიყო სიმართლეში. რასაკვირველია, გატანილი ფონდი ზედმიწევნით აღირიცხა, სიაც შედგა, გაფორმდა მიღება-ჩაბარების აქტი, რომელსაც რუსუდან კაშია და მაია მიქაბერიძე აწერდნენ ხელს."

სწორედ, სიმართლეში კიდევ ერთხელ გარკვევის სურვილით ბიბლიოთეკის ამჟამინდელი დირექტორისგან უკვე გამოთხოვილი იქნა „აქტი", რომელიც თავისი „სისადავით" განსხვავებული და გამორჩეულია ყველა ტიპური მიღება-ჩაბარების აქტისგან. ამ ნიმუშების ნახვა შედარებისთვის, სიმართლეში კიდევ უფრო ცხადად გარკვევის მიზნით ვითხოვეთ.

უფრო მეტი სიცხადისთვის, განსხვავება მდგომარეობს შემდეგში: ტიპიური აქტებისგან განსხვავებით, 2009 წლის 13 ივლისის აქტში არ იკითხება გაზეთების ძველი ფასები, კონკრეტულად რა კუპიურად არის შეფასებული, საერთოდ არ იკითხება შემდეგში რამდენად არის შეფასებული და, ჯამში, რა რაოდენობას შეადგენს გატანილი ფონდის მატერიალური ღირებულება, ხელმოწერის გარეშეა ორი ნიშანდობლივი გრაფა: „ჩავაბარე" და „ჩავიბარე".

იგივე წერილობითი ბრძანება და მიღება-ჩაბარების აქტი, რომლის შედგენის აუცილებლობაზეც თავადვე საუბრობდნენ დაპირისპირებული მხარეები, არ შედგენილა ფონდის იშვიათი გამოცემების განყოფილებიდან პერიოდიკის განყოფილებაში დაბრუნების დროსაც, რასაც, როგორც ამჟამინდელი დირექტორი, ისე მაია მიქაბერიძე შემდეგნაირად ხსნიან: „იმის გამო, რომ უკან დაბრუნებული ფონდის რაოდენობა და მდგომარეობა სადავო და გასარკვევია, აქტის შედგენა ყოვნდება იქამდე, სანამ სპეციალური კომისია დასკვნებს არ დადებს."

ხოლო კითხვაზე: რამ შეაყოვნა და გააჭიანურა მთელი 5 წლით თავად პერიოდულ გამოცემათა განყოფილების გამგის პროტესტი და რატომ ერთხელ მაინც წერილობითი ფორმით არ დააყენა დღის წესრიგში ფონდის განადგურების საშიშროება? როგორც თავად ამბობს, საკუჭნაოში შეყრილ გამოცემებზე, მიქაბერიძის პასუხის შინაარსი ძველი ქართული ანდაზის მსგავსია — „დიდ კაცთან პატარა კაცსა, როდის გასვლია მართალი?"

მაია მიქაბერიძე აცხადებს, რომ „ბრძოლას ფონდის გადასარჩენად მისი სამსახური შეეწირებოდა, ისევე, როგორც ამ საქმეს თავის დროზე დირექტორის მაშინდელი მოადგილის, ელისო ქაროსანიძის თანამდებობა შეეწირა."

მიქაბერიძე აცხადებს, რომ ფონდის უკან დაბრუნების თხოვნით ის ქაროსანიძეს ესაუბრა და იმის გამო, რომ ამ საქმეში მისი მხარდაჭერა მოიპოვა, ერთადერთი არა, მაგრამ ეს იყო ერთ-ერთი მიზეზი, რის გამოც იგი მალევე სამსახურიდან გაუშვეს.

უნიკალური ფონდი რომ დაზიანებულია, ამაზე არავინ კამათობს, სადავოა პერიოდი და გარემოება, როდესაც პერიოდიკა დაზიანდა. საქმეში ორივე მხარის მტკიცებულება მხოლოდ სიტყვიერია. პოზიციის გასამყარებლად მაია მიქაბერიძე პროფესორებისა და დოქტორების ხელმოწერებს აგროვებს, სადაც მათი, როგორც პერიოდული განყოფილების ჟურნალ-გაზეთების აქტიური მკითხველის, შეფასებები იკითხება იმის თაობაზე, რომ აწ უკვე მნიშვნელოვნად დაზიანებული პერიოდიკა მიქაბერიძის ფონდში ყოფნისას კარგ მდგომარეობაში ახსოვთ.

დაპირისპირებული მხარეების კარში გამარჯვების საბოლოო გოლს სპეციალური კომისიის დასკვნა გაიტანს.

ეკა შალამბერიძე

ილია მეორე: „ყოველმა ბიზნესმენმა უნდა აიღოს თავის თავზე რომელიმე რაიონი და მატერიალურად დაეხმაროს"

საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი უწმინდესი და უნეტარესი **ილია მეორე** ბერ-მონაზვნებს სასაზღვრო რაიონებში მონასტრების შექმნის თქოვნით მიმართავს.

აგრეთვე ბარისახოში, „საუკუნის გზის" პროექტის პრეზენტაციის შემდეგ, პრემიერ-მინისტრთან ერთად ჩატარებულ პრესკონფერენციაზე უწმინდესმა მოუწოდა ბისნესმენებს, გაუწიონ მატერიალური დახმარება მაღალმთაინ რეგიონს.

„მინდა მივმართო ბერ-მონაზვნობას, რომ სასაზღვრო რაიონებში უნდა შეიქმნას მონასტრები, რომ ჩვენ გავაძლიეროთ და დავიცვათ ჩვენი საზღვრები. მინდა, ასევე, მივმართო ბიზნესმენებს. ყოველმა ბიზნესმენმა უნდა აიღოს თავის თავზე, რომელიმე რაიონი, ეს მთა იქნება თუ ბარი და დაეხმაროს მატერიალური განვითარების თვალსაზრისით ამ რეგიონს. იმედი მაქვს, რომ ბიზნესმენები შეისმენენ ამ ჩვენს მოწოდებას და საქართველო იქნება ბედნიერი," — განაცხადა საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა.

psnews.ge

„არავის ვახსოვართ!" — ქართული ქორეოგრაფიის დღე ბიბლიოთეკაში

10 ივნისს ქართული ქორეოგრაფიის დღე ქუთაისის ილია ჭავჭავაძის სახელობის სამეცნიერო ბიბლიოთეკაში აღნიშნეს. სამეცნიერო ბიბლიოთეკის ხელმძღვანელობის ორგანიზებით, ბიბლიოთეკაში დამსახურებულ ქუთაისელ ქორეოგრაფებს და მოცეკვავეებს უმასპინძლეს.

ახალგაზრდა შემსრულებლებმა სტუმრების პატივსაცემად ქართული ცეკვები შეასრულეს და ლექსები წაიკითხეს.

„ქართული ქორეოგრაფიის დღე მხოლოდ ქორეოგრაფების დღე არ არის. ეს თითოეული ჩვენთაგანის დღეა. ამიტომ ბიბლიოთეკამ გადაწყვიტა, ამ ადამიანებისთვის, რომელიც არავის ახსოვს, გაელამაზებინა ეს დღე და გვეთქვა მათთვის მადლობა იმ ღვაწლისთვის, რომლითაც ქართული ქორეოგრაფიის მადლი ჩვენამდე მოიტანეს," — განაცხადა ბიბლიოთეკის დირექტორმა ნარგიზა ჩოგოვაძემ.

„ქუთაისელი ქორეოგრაფები არავის გავხსენებივართ, ამიტომ გვინდა მადლობა გადავუხადოთ ბიბლიოთეკას, რადგან ასეთი ლამაზი ღონისძიებით აღნიშნეს ჩვენი დღე და საშუალება მოგვცეს, ერთმანეთი გვენახა. მიუხედავად იმისა, რომ ერთ ქალაქში ვცხოვრობთ, ხშირად ვერ ვნახულობთ ერთმანეთს," — განაცხადა ქორეოგრაფმა ნანი ჟორჟოლინმა-მიქაძემ.

ნესტან ჩაგელიშვილი

იმერეთის რეგიონალური ნაგავსაყრელი ყოფილ სამხედრო ბაზაზე განთავსდება

იქნება თუ არა გოდოგანში განთავსებულ ნაგავსაყრელზე ევროსტანდარტებით გათვალისწინებული პირობები დაცული?

„P.S.ფოტო" (ნესტან ჩაგელიშვილი) ©

ქუთაისი-გეგუთის მონაკვეთზე, ნიკეას ქუჩაზე მდებარე მუნიციპალური ნარჩენების ნაგავსაყრელი ერთ თვეში სრულად დაიხურება.

გერმანიის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის მხარდაჭერით დაწყებულია ახალი, საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი, იმერეთის რეგიონული ნაგავსაყრელის მშენებლობის მოსამზადებელი სამუშაოები, რისთვისაც 44, 5 მილიონი ლარია გამოყოფილი. ამჟამად მიმდინარეობს ექსპერტების შერჩევა, რომლებმაც უნდა შეიმუშაონ ახალი ნაგავსაყრელის პროექტი და დიზაინი. ახალი ნაგავსაყრელის მშენებლობა 2014-2017 წლებში განხორციელდება, რომლის ექსპლუატაციაში შესვლის შემდეგ ე.წ. ნიკეას ნაგავსაყრელი ევროსტანდარტების შესაბამისად დაიხურება.

აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ იმერეთის რეგიონალური ნაგავსაყრელის ახალ ადგილად სოფელი გოდოგანი შეირჩა. გოდოგანში ნაგავსაყრელი სამხედრო ნაწილის ყოფილ ტერიტორიაზე გაკეთდება. თავდაპირველად რეგიონალური ნაგავსაყრელისთვის, ასევე თერჯოლის რაიონის სოფელი ჭოგნარი იყო შერჩეული, რასაც ადგილობრივების უკმაყოფილება მოჰყვა. როგორც ჭოგნარში მცხოვრებლები აცხადებდნენ, არ დაუშვებდნენ ნაგავსაყრელის მათ ტერიტორიაზე განთავსებას, რადგან არსებულ ტერიტორიას პირუტყვის საძოვრად იყენებენ.

მყარი ნარჩენების მართვის კომპანიის დირექტორის გიორგი შუხოშვილის განცხადებით, ვინაიდან ჭოგნარში არ იყო დაცული 500-მეტრიანი ბუფერული ზონა, ამავდროულად, პრობლემა იყო ის ფაქტიც, რომ ჭოგნარში ნაგავსაყრელისთვის შერჩეულ ადგილზე მიწის ნაკვეთები უკვე გასხვისებული იყო.

იმერეთის რეგიონალური ნაგავსაყრელისთვის მოსამზადებელი სამუშაოები მომავალი წლიდან დაიწყება და 2017 წელს დასრულდება.

ნიკეას ქუჩაზე მდებარე ნაგავსაყრელზე მიმდინარე კეთილმოწყობის ფინალური ეტაპის სამუშაოები საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრმა, ელგუჯა ხომერიკმა, მყარი ნარჩენების მართვის კომპანიის დირექტორმა გიორგი შუხოშვილმა, იმერეთის ვიცე-გუბერნატორთან და ქუთაისის მმშ ნოდარ მიქიაშვილთან ერთად მოინახულეს.

ნაგავსაყრელი, რომელიც 150962,28 ჰ ფართობზეა განთავსებული, ექსპლუატაციაში 1956 წელს შევიდა.

წინასწარი შედეგების კვლევის მიხედვით, ნაგავსაყრელი არ აკმაყოფილებდა ეკოლოგიურ და სანიტარულ ნორმებს. სიტუაციას ამძიმებდა ისიც, რომ ნაგავსაყრელი არ იყო შემოღობილი, რაც იწვევდა ნარჩენების მთელ პერიმეტრზე გაფანტავს. პოლიგონზე თავისუფლად კეთილმოწყობის გადაადგილდებოდა შინაური პირუტყვი, რომელიც იკვებებოდა ნარჩენებით, რაც მოსახლეობას საფრთხეს უქმნიდა. მოსახლეობისთვის ასევე საფრთხეს ნარჩენების ნამწვავი წარმოადგენდა, რაც არაერთხელ გამხდარა პროტესტის მიზეზი.

მძიმე სიტუაციის გამო, გერმანიის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის მხარდაჭერით, ტერიტორიის შესწავლის საფუძველზე ნაგავსაყრელის კეთილმოწყობის პროექტი შემუშავდა.

რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრის ელგუჯა ხომერიკის განცხადებით, დაიწყო სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოები, რომლის ფარგლებშიც გაკეთდა ტერასები, არსებული ნარჩენები მთლიანად გადაიფარა 30 სმ თიხნარი გრუნტის საიზოლაციო ფენით, მოეწყო ძირითადი და დროებითი სამანქანო გზები, განთავსდა სამეთვალყურეო გამშვები ჯიხური, გაკეთდა მანქანა-მექანიზმების ფარდული. დამონტაჟდა მძიმეწონიანი ქანის სასწორი. ტერიტორიაზე დამონტაჟდა სახანძრო ფარი, რენდერები და ამკრძალავი ნიშნები. მოეწყო წყალარინების არხები.

განახლებული ნაგავსაყრელის ექსპლუატაციაში შესვლის შემდგომ, ნარჩენები განთავსდება სპეციალურ უჯრებში, რითაც მნიშვნელოვნად შემცირდება გარემოზე მავნე ზემოქმედება და ადგილობრივი მოსახლეობის უსაფრთხოება დაცული იქნება.

ნესტან ჩაგელიშვილი

„პლანის მოწევაზე კაცის დაჭერა ვის გაუგია? ეს ველურობაა!“

ირაკლი ღარიბაშვილი: „მანამ, სანამ ჩვენ ვართ ხელისუფლებაში, ეს არ მოხდება...“

უკანასკნელი წლების განმავლობაში მსოფლიოს მთელ რიგ ქვეყნებში არაერთხელ იქნა დასმული საკითხი მარიხუანის, როგორც „მსუბუქი ნარკოტიკის“ ლეგალიზაციის შესახებ, რომელსაც პოპულარობით ერთ-ერთი წამყვანი ადგილი უჭირავს მთელს პლანეტაზე. მარიხუანა ახალგაზრდებში ყველაზე პოპულარული ნარკოტიკია, რომელსაც სიამოვნების მისაღებად იყენებენ, მას, დაახლოებით, 150 მილიონი მომხმარებელი ჰყავს.

ეს საკითხი დავის საგანი გახდა საქართველოშიც. ამაზე საუბრობენ როგორც ექიმები, ასევე პოლიტიკოსები. რას შეიძლება ველოდოთ და რა შედეგები შეიძლება მოიტანოს მარიხუანას ლეგალიზაციამ?

დავიწყოთ იქიდან, თუ რა არის მარიხუანა?

მარიხუანა, იგივე კანაფი Cannabis Sativa — როგორც სამკურნალო, საყოფაცხოვრებო და მსუბუქი თრობის პოპულარული საშუალება უძველესი დროიდანაა გავრცელებული.

კანაფის თესლი და მისგან დამზადებული შინაური წამლები აღმოჩენილი იქნა არქეოლოგიური გათხრების შედეგად როგორც აზიის, ასევე ევრაზიის კონტინენტზე.

იგი აღმოჩენილია ძველი ეგვიპტის სამარხებშიც და თარიღდება ჩვენს წელთაღრიცხვამდე 3000 წლით.

კანაფის სამშობლო ცენტრალური აზიაა.

კანაფი ცნობილი იყო ანტიკურ მსოფლიოშიც. ქირურგი დოსკორიდე, რომელიც კანაბისს ანასტეზიისათვის იყენებდა ახსენებს მის თვისებას გამოიწვიოს „სიამოვნების მომნიჭებელი ფანტომი და წარმოსახვა“.

ტკივილის გასაყუჩებლად საჭირო იყო ჰაშიშის ძალიან დიდი დოზა, რომელიც მზადდებოდა კანაფის ფისისგან და იწვევდა ჰალუცინოგენურ თვისებებს...

ეს უბრალო, ერთი შეხედვით შეუმჩნეველი მცენარე უკვე საუკუნეების მანძილზე არაერთხელ გამხდარა კამათისა და სკანდალის მიზეზი. მის ლეგალიზაციას ჰყავს როგორც მომხრეები, ასევე მოწინააღმდეგეები.

მარიხუანას ლეგალიზების მომხრეთა პირველი და ყველაზე მთავარი არგუმენტია — ლეგალიზაციის შემდეგ იმ ახალგაზრდების რიცხვის საგრძნობი შემცირება, რომლებიც მოიხმარენ „მძიმე ნარკოტიკებს“, რადგან, მათი მტკიცებით, როდესაც არ იქნება დასჯადი მარიხუანას მოხმარება, მომხმარებლები თავად გაიაზრებენ მის გავლენას და თანდათანობით შემცირდება მომხმარებელთა რაოდენობაც.

მეორე არგუმენტით კი მარიხუანას ბაზაზე დამზადებული პრეპარატების გამოყენება სამედიცინო თვალსაზრისით გამოიყენება. მედიცინის მიხედვით, კანაფის შემცველ პრეპარატებს გააჩნია ტკივილგამაყუჩებელი და ღებინების საწინააღმდეგო ეფექტი, გამოიყენება ასთმის, მძიმე სკლეროზის, გლაუკომის და ა.შ. დაავადებების წინააღმდეგ.

თუმცა, მარიხუანის გამოყენებას სამედიცინო თვალსაზრისით ასევე გააჩნია უარყოფითი მხარეებიც.

მართალია, მისი ფასი, ეფექტურობა არ დგას ეჭვქვეშ და ამ მხრივ კანაფს კონკურენტი არ ჰყავს, მაგრამ გასათვალისწინებელი და სიღრმისეულად შესასწავლია თანმდევი ეფექტები, რომელიც შეიძლება თან ახლდეს ასეთი პრეპარატების მოხმარებას.

რთული იქნება ასევე მხოლოდ სამედიცინო მიზნით მის გამოყენებაზე კონტროლი.

ასე რომ, მარიხუანას ლეგალიზაციზე საკმაო ურთიერთსაწინააღმდეგო მოსაზრებები გამოითქმის დღემდე, თუმცა, როგორც ჩანს, მსოფლიოს ზოგიერთ ქვეყანაში, სამედიცინო თვალსაზრისით მაინც, მისი ლეგალიზაცია აუცილებლად მოხდება. საქართველოს კანონმდებლობაში კი მარიხუანას ლეგალიზაციის კანონმა „ფეხი ვერ მოიკიდა“.

საქართველოში მისი მოხმარება მკაცრად ისჯება, თუმცა, მიუხედავად კანონმდებლობისა, მაინც მიმდინარეობს დეკრიმინალიზაციის საკითხის განხილვა.

კანონში შესატანმა ცვლილებებმა, რომელიც მარიხუანას დეკრიმინალიზაციას შეეხება, ბოლო დროს საზოგადოების აქტიური ჩართულობა გამოიწვია.

პრემიერ-მინისტრმა **ირაკლი ღარიბაშვილმა** მარიხუანას დეკრიმინალიზაციის შესახებ დასმული კითხვის საპასუხოდ განაცხადა, რომ არსებული ხელისუფლების მმართველობის განმავლობაში მარიხუანას ლეგალიზაცია არ მოხდება.

„ეს არც განიხილება და მანამ, სანამ ჩვენ ვართ ხელისუფლებაში, ეს არ მოხდება. ანუ არ მოხდება დეკრიმინალიზაცია. რაც შეეხება მუხლების გადახედვას, ამაზე კიდევ შეიძლება, ვიმსჯელოთ,“ — ამბობს ღარიბაშვილი.

მრავალფეროვანი დამოკიდებულება არსებობს საზოგადოებაში, ახალგაზრდების უმეტესება კი მიიჩნევს, რომ უნდა მოხდეს მარიხუანას დეკრიმინალიზაცია.

ამ თემაზე გაზეთი „პოსტსკრიპტუმი“ დაინტერესდა. ჩავატარეთ გამოკითხვა ქუთაისში ახალგაზრდებსა და ასაკოვან მამაკაცებს შორის. დამოკიდებულება არაერთგვაროვანი აღმოჩნდა, ჩვენდა გასაკვირად, გამოკითხული ახალგაზრდების უმეტესი ნაწილი არ ეთანხმება მარიხუანას დეკრიმინალიზაციას, ასაკოვანი ხალხი კი მიიჩნევს, რომ უნდა მიიღოს სახელმწიფომ აღნიშნული კანონი, რადგან, ამ შემთხვევაში, „აკრძალული ხილი ტკბილია“-ს გამონათქვამი მოქმედებს და უფრო ეტანებიან დანაშაულს.

გოჩა ხოსმაზარაშვილი: „მარიხუანა არ აყენებს დიდ ზიანს ადამიანის ორგანიზმს, ალკოჰოლიკები უფრო აგრესიულები არიან, ვიდრე მარიხუანას მომხმარებლები. ჩემს გარშემო 90% ეწევა მარიხუანას, მათ შორის მეც ვეწეოდი ადრე, მაგრამ არ მგონია, რომ რაიმე ცუდი გავლენა მოეხდინა ჩემზე ამ მცენარეს, მოწევის გამო პატიმრობით არ უნდა დაისაჯოს ადამიანი.“

გოირგი ლიონიძე: „არ უნდა მოხდეს დეკრიმინალიზაცია. არ არის სასიამოვნო, ქუჩაში რომ უგონო მდგომარეობაში თავისუფლად დადიან ახალგაზრდები, მაგრამ სასჯელის ფორმა პატიმრობის სახით არ მიმაჩნია სწორად, რაიმე სხვა მეთოდები უნდა შემუშავდეს სახელმწიფოში მარიხუანას აკრძალვისთვის.“

მამუკა არდიშვილი: „რა თქმა უნდა, უნდა მოხდეს დეკრიმინალიზაცია, რადგან ახლა რა საშინელებებსაც მოიხმარენ ახალგაზრდები, შეიცვლება და მარტო მარიხუანას დასჯერდებიან.“

ლევან გიორგობიანი: „პლანის მოწევაზე კაცის დაჭერა ვის გაუგია? ეს ველურობაა. სდიონ გამსაღებლებს. ეს არ ნიშნავს, რომ მოვუწონოთ ახალგაზრდებს ასეთი საქციელი, უბრალოდ, ახალგაზრდამ მოწია, ამის გამო არ უნდა დაისაჯოს, კანონი შედარებით ლიბერალური უნდა იყოს ამ საკითხში.“

დავით მიქაძე: „უნდა მოხდეს დეკრიმინალიზაცია, მარიხუანას მომხმარებელი არ უნდა ისჯებოდეს კანონით, სიგარეტი უფრო ცუდ გავლენას ახდენს ადამიანის ორგანიზმზე. პატიმრობა არ არის მისაღები ჩემთვის, შეიძლება, რაღაც მცირე ჯარიმით შემოიფარგლოს მთავრობა.“

ამჟამად, საქართველოს კანონმდებლობით, მარიხუანას მომხმარებელი, როდესაც პიროვნებას მარიხუანას მოწევაზე დააკავებენ, ჯარიმდება 500 ლარით, განმეორებით ფაქტზე — 2 000 ლარით და მესამე ფაქტზე არის მხოლოდ პატიმრობა ან კიდევ უფრო გაზრდილი ჯარიმა.

მიიღებს თუ არა საქართველო მარიხუანას დეკრიმინალიზაციის კანონს, ჯერ კიდევ კითხვის ნიშნის ქვეშაა, თუმცა, აღნიშნულთან დაკავშირებით, აშკარაა საზოგადოების არც ისე მკაცრი დამოკიდებულება.

ჟანა ჯანელიძე

„მისის პლანეტაზე“ საქართველოს ქუთაისელი „ანჯელინა ჯოლი“ წარადგენს

ალბათ, ყველას გახსოვთ, როდესაც „რეიტინგში“ რამდენიმე ნომრის წინ ქუთაისელ ლამაზმან ეკა ქუთათელაძის ინტერვიუ დაიბეჭდა. ეკა 30 წლის გახლავთ და შვილთან ერთად მშობლებთან ქუთაისში ცხოვრობს. სწავლობდა თბილისის უნივერსიტეტში და მეორე კურსზე იყო, როდესაც დედაქალაქში გათხოვდა. ბავშვის შეძენის შემდეგ სამოდელო კარიერა ვეღარ გააგრძელა, არადა, დიდ მომავალს უწინასწარმეტყველებდნენ. კარიერის მოულოდნელად დასრულების შემდეგ მალე მეუღლეს დაშორდა და საცხოვრებლად მშობლიურ ქალაქს მიაშურა. დაახლოებით, ორი წელია, რაც მოდის სამყაროში ისევ დაბრუნდა, ოღონდ ქუთაისში, მანანა გოგლიჩიძის მოდის სახლში. ეკა სოციალურ ქსელში განსაკუთრებულად პოპულარულია და ანჯელინა ჯოლის ამსგავსებენ.

ახლახან თბილისში პირველად ჩატარდა კონკურსი „მისის პლანეტა“ დაოჯახებული, ქვრივი და განქორწინებული ქალბატონებისთვის. მონაწილეთა ასაკი 18-40 წლამდეა. გამარჯვებული ეკა ქუთათელაძე გახდა და ბულგარეთში ივნისის ბოლოს გაემგზავრება, სადაც ფინალზე საქართველოს წარადგენს.

ეკა ქუთათელაძე:

— საქართველოში პირველად ჩატარდა ეს კონკურსი. ჟიურიში დალი ჩიტალაძე, აჩიკო მეფარიძე, ზალიკო ბერგერი, მარკუს მეტრეველი, მანანა გოგლიჩიძე, შოთიკო ბოჭორიშვილი და სხვანი იყვნენ. კრისტი ყიფშიძეც უნდა ყოფილიყო, მაგრამ სიცხე ჰქონდა. ჟიურიმ ერთხმად შემარჩია. არასოდეს მქონია კონკურსებში მონაწილეობის სურვილი. გამარჯვებას ველოდებოდი, მაგრამ ჩემთვის მაინც მთავარია, მსოფლიო ფინალზე რას ვიზამ. თან ამ კუთხით არ მაქვს გამოცდილება. არ ვიცი, იქ რა ასაკის ქალბატონები დამხვდებიან. საქართველოში ყველაზე უფროსი მე ვიყავი.

— კონკურსზე საკმაოდ თამამი კაბით გამოხვედი.

— დიახ, თუმცა ცუდი გამოხმაურება არ მოჰყოლია. ყველას ძალიან მოეწონა.

geworld.ge

ეს კი, ნამდვილად უსამართლობაცაა და უკანონობაც

როდესაც წყალს საქალაქო ქსელიდან ვერ იღებენ

სტატიის დაწერის დროს ბევრი ვიფიქრე, რა დროს დამეწერა ამ საკითხის გარშემო და გადავწყვიტე მისი გამოქვეყნება ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების ჩატარების შემდეგ, რადგანაც შესაძლებლობა გვქონდა, ყველა მერობის კანდიდატის გამოსვლები მოგვესმინა, გაგვეანალიზებია და გაგვეკეთებია ნებისმიერი დასკვნა: რა არის ხალხისათვის მთავარი სირთულე და როგორ ხედავდნენ მას მერობის კანდიდატები.

ამდენად, ასეთი ვითარებიდან გამომდინარე, შემოგთავაზებთ ჩვენს მცირე ხედვას, რაც ჩამოყალიბდა ქუთაისის მოსახლეობასთან ურთიერთობიდან გამომდინარე. ვეცდებით, ყველა სირთულე გავამყაროთ კონკრეტული მაგალითებით.

ჩემო მკითხველო, მოემზადე იმ სირთულეების გადასალახად, რაც წლების განმავლობაში დაგროვდა და რის გამოც არამარტო თქვენი მდგომარეობა უარესდება, არამედ ქალაქისიც და შესაბამისად, ჩვენი სამშობლოსი.

მაშ ასე, დავიწყოთ იმ სირთულეების განხილვა, რომელიც შეიქმნა ჩვენს მიერ არჩეული მთავრობის სუსტი მუშაობით:

1. 2009 წელს ცენტრალური ხელისუფლების მოთხოვნით, საქართველოს რაიონებში (გარდა თბილისისა, ბათუმისა და საჩხერის) გაერთიანდა ადგილობრივი თვითმმართველობისა თუ მმართველობის დაქვემდებარებაში მყოფი წყალკანალის შპს-ები და ჩამოყალიბდა აღმოსავლეთში — „აღმოსავლეთის წყალი" და დასავლეთში — „დასავლეთის წყალი". ეს პროცესი განვითარდა ისე, რომ არავის უკითხავს ქუთაისის მთავრობისთვის, რას ფიქრობდა, როგორ მოხდებოდა მის მიერ შექმნილი თუ მემკვიდრეობით მიღებული ქონების გადაცემა, თანახმა იყო თუ არა პროცესის მხარდაჭერისათვის, საერთოდ, სად მოიაზრებოდა ნახმარი წყლის კანალიზაცია და სხვა.

ასეთი შერწყმისა თუ ნაძალადევი გაერთიანების შექმნის შემდეგ, ექვს თვეში, 2010 წლის იანვარში მოხდა შედარებით დისკრიმინაციული მოთხოვნის შესრულება — ჩამოყალიბდა ორი კომპანია. რომელთაგანაც ერთ-ერთს წარმოადგენს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანია", რომელსაც გადასცეს ყოველგვარი სიკეთე — აქტივები, ხოლო მეორეს დაუტოვეს ყველაფერი სიგლახე — პასივები (ვალები, მკვდარი ტექნოლოგიები). ანუ ევროპისკენ მიმავალი მთავრობა არღვევს მის ძირითად კანონს დეცენტრალიზაციის შესახებ და წყალმომარაგებას ხდის მკაცრად ცენტრალიზებულს, რაც აზრადაც კი არ მოსვლიათ კომუნისტებს.

აქ ყველაზე საგანგაშოა ადგილობრივი ხელისუფლების ქონებისა და უფლებების დიქტატორული მეთოდით მითვისება ცენტრალური ხელისუფლების მიერ ისე, რომ ქუთაისის მთავრობას სიტყვაც კი არ ამოუღია ხალხის, დარგის, სერვისის მიწოდებისა და მისი უფლებების შესახებ.

ამ დღიდან (2014 წლის იანვრიდან) იწყება წყალმომარაგების კომპანიის თავგასულობა, უზნეობათა თაიგულის „მირთმევა" საკუთარი აბონენტებისათვის და მათი გარყვნა — ანუ ჩართვა მათ კორუფციულ — ყაჩაღურ სქემებში.

აქ იბადება კითხვა — „ნუთუ გაერთიანებული კომპანიის მუშაობას არავინ აკონტროლებს, ან ყურადღებას არ აქცევს?" დიახ, ბატონო ჩემო, აქცევს და მერე როგორი დამოუკიდებელი კომისია, რომლის თავისუფლებასთან რას წარმოადგენს საქართველოს თავისუფლება და უხდით არა ათასებს, არამედ ათი ათასებს, მაგრამ რად გინდა?.. ქუთაისურად რომ ვთქვათ „შემოვევლე ჩვენს პარლამენტს"! ამ კომისიაში ჩართო ჩვენი ინტერესების დაცვის მიზნით ისეთი კარგი ორგანო, რომელსაც უწოდებენ „მომხმარებელთა ინტერესების საზოგადოებრივი დამცველი და მისი სამსახური", რომელსაც კი სურს, საქმე კარგად იყოს, მაგრამ მაშინ როგორ გავრყვნათ საზოგადოება?

ზემოთ თქმულის მკაფიო დადასტურებაა საზოგადოებრივი დამცველის 2011 წლის 2 მაისის №303-05/11 წერილი წყალმომარაგების კომპანიაზე. „...კომპანია არაუფლებამოსილია, მოითხოვოს მომხმარებლიდან წყალმომარაგების გადასახადის ანაზღაურება". საქმე ეხება დავით აღმაშენებლის №125-ში მეხუთე სართულს მაღლა მცხოვრებ აბონენტებზე, რომლებიც წყალს საქალაქო ქსელიდან ვერ იღებენ.

თქვენი აზრით, კომპანიამ რა ქნა? წერილი წაიღო იქ, სადაც...

ამის შემდეგ 2012 წლის 12 იანვარს იგივე დამცველი წერილით (№87-01/12) კვლავ მიუთითებს კომპანიას, რომ მოაგვაროს ურთიერთობა აბონენტებთან. კომპანიაც აგვარებს საკითხს — უგზავნის წერილის წერილს, რომ ახალ გადასახადს კი არა, ძველ ვალს თუ არ გადაიხდით, სასამართლოში გიჩივლებთო. ზოგი შეშინდა და გადაიხადა (ჩაერთო ყაჩაღობის სისტემაში), ხოლო ზოგიერთი კი კვლავ განაგრძობს ბრძოლას კანონიერებისათვის (არ გაირყვნა). ისე ამოწურა თავისი მოღვაწეობის ვადა აღნიშნულმა დამცველმა, რომ შედეგს ვერ მიაღწია. კვლავ შეტევა, არამარტო კანონიერი, არამედ ლოგიკური მოთხოვნით, კომპანიაზე — „შენგან მოწოდებულ წყალს რომ მივიღებ, ფულსაც მაშინ გადაგიხდი", პასუხობს პატიოსანი საზოგადოება აღმაშენებლის 125-დან, კომპანია კი გულზე სკდება — ვინაა ეს ხალხი და რა არის აქ გაუგებარი, რა მნიშვნელობა აქვს, წყალი საიდან გაქვს — ფული მე უნდა გადამიხადო.

და აი, ახალი დამცველის ახალი წინადადება — „...მომხმარებელმა კომპანიასთან ანგარიშსწორება უნდა განახორციელოს შეღავათიანი ტარიფით", რომელსაც ქალბატონი ნინო გულუაშვილი უგზავნის კომპანიას წერილით №793-10-13 და თარიღით 17 ოქტომბერი 2013 წელი.

კომპანიის რეაგირება ძველებურად დუმილია. მოკლედ, კომპანია პიტალოა — პიტალო, ვინ მიეკარება, მას უნდა და კანონს დედა უტირა, არაფრად ჩააგდო, ხალხის მცდელობიდან გამომდინარე, პარლამენტი, საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების ეროვნული კომისია თავისი დამცველითა და აღმასრულებელი დირექტორით, ხოლო ადგილობრივ თვითმმართველობას ხმა ვერ ამოაღებინა, თითქოს არც ქუთაისი იყოს მის გამგებლობაში, არც ქუთაისელებისთვის იყვნენ ისინი მოწოდებული და არც მისი ყოფილი ქონება იყო ის, რითაც ხორციელდება წყალმომარაგება დღევანდელ ქუთაისში. პირიქით, ქუთაისი ცდილობს, გააუმჯობესოს ქსელი და კომპანიის მაგივრად ხარჯავს ფულს, რამდენიმე ასეულ ათასებს (გთხოვთ, იხილოთ 2013 წლის ქუთაისის ბიუჯეტი).

ამდენად, ჩემო მკითხველო, წყალმომარაგებასთან დაკავშირებით შემოგთავაზებდით, ხშირად შეახსენოთ ადგილობრივ თვითმმართველობას, ევროპისაკენ სიარულის დროს მიხედოს დეცენტრალიზაციის პროცესს, სამართლებრივი ბაზის შესრულების შესახებ არამარტო მომხმარებლიდან, არამედ მიმწოდებლიდანაც მოითხოვოს (წყალმომარაგების კომპანიიდან), კანონქვემდებარე აქტისა და საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის (სემეკ) №32 დადგენილება, თარიღით 26 ნოემბერი 2008 წელი „სასმელი წყლის მიწოდებისა და მოხმარების წესების დამტკიცების შესახებ".

2. ყველაზე დასანანი ფაქტია ის გარემოება, რომ ქუთაისის პენსიონერთა და ვეტერანთა პროფკავშირში გაერთიანებული პენსიონერები უკვე წელიწადზე მეტია, ითხოვენ განმარტებას 2007-2008 წლის ქუთაისის წყალმომარაგების სარეაბილიტაციო პროგრამის გრანტით გამოყოფილი, უკვე შეძენილი 21 ათასზე მეტი ინდივიდუალური აღრიცხვის კვანძი რატომ არ დაუდგეს მათ, რატომ ახდევინებენ მათ ყველას განურჩევლად 100 ლარს, როგორ შეარჩიეს 7840 აბონენტი, რომელთაც უფასოდ დაუყენეს აღნიშნული კვანძები და სად წაიღეს დარჩენილი 13 ათასი აღრიცხვის კვანძი, რომელიც ჩვენთვის გამოყოფილი გრანტით შეიძინეს, ჩამოიტანეს ქუთაისში და იდო წყალკანალის საწყობში.

ჩემო ძვირფასო მკითხველო, ყველა აღნიშნული საკითხის გარშემო უნდა მიაკითხოთ ადგილობრივ თვითმმართველობას, ანუ ქუთაისის მერიას, ისინი ხელფასს სწორედ ასეთი და ამისდამაგვარი სერვისები მიწოდებაში იღებენ და თუ კარგად იმუშავენებ, პრემიასაც და დანამატსაც თქვენ გადაუხდით.

3. ახლა რაც შეეხება წინასაარჩევნო დაპირებების დარიგებას მერობისა თუ საკრებულოს წევრობის კანდიდატებიდან, რატომღაც საკმაოდ ხილულ და ყოველთვის ცნობილ საკითხებს ეხებიან, ისეთს, როგორიცაა წყალმომარაგების, გზების, განათების და სხვა საკითხები. ერთადერთი კანდიდატი, რომელიც შეეხო ქუთაისის ინტერესებისა და ჩვენი ღირსების დაცვას, არის თემურ შაშიაშვილი. დანარჩენისათვის ეს საკითხები ტაბუდადებულია. არ ახსენდებათ? საინტერესოა! აქ ისმის კითხვა — ერთმა კაცმა უნდა დაიცვას ქალაქისა და მასში მცხოვრებთა ინტერესები? რა გვეშველება იმ შემთხვევაში, თუ შაშიაშვილს არ აირჩევენ? რატომ ვერ ვახერხებთ ჩვენ ამის გაკეთებას და რა გვიშლის ხელს?

4. ყველაზე საინტერესო ის საკითხია, ახალი მერი რომ ჩაჯდება თავის სავარძელში, უკვე უნდა იცოდეს მუნიციპალური ქონების შესახებ — სად არის, რა არის, რამდენადაა შეფასებული, ვართ ამ პროცესისათვის მზად? ან როდისთვის ვიქნებით ამისათვის მზად. ამდენად, ჩემო კარგო მკითხველო, ახლადარჩეული ადგილობრივი თვითმმართველობისათვის ყოველდღიური ჩვენი ყურადღებითა და რაღაცების შეხსენებით, უნდა ვეცადოთ, ქუთაისის რეალურად შეჩოჩებას არამარტო ევროკავშირის ხელშეკრულების ზონაში, არამედ რეალურად, თვისობრივად და აზროვნებით ევროკავშირში შესვლა ჩვენი ადათ-ჩვეულებებსა და ტრადიციებზე დაყრდნობით.

ბატონო მკითხველო, იქნებ იმაზეც იზრუნოთ, რაც აქამდე თავში არ მოსვლია ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლებს ქუთაისის ბიუჯეტის გაზრდისათვის. იქნებ, დაგვეწყო ზრუნვა იმაზე, რომ ქუთაისში არსებულ მეტალის ბოძებს უპრაკუნოდ რომ ხმარობს ყველა (ენერგო-პრო ჯორჯია, საკაბელო ტელევიზია, სატელეფონო ხაზები), ვისაც მოესურვება, დაგვეწესებინა გადასახადები.

მოკლედ, მშვიდობა ქნას პარტიებმა და ჩვენ უკვე მზად უნდა დავხვდეთ იმ საკითხებს, რომლებიც გადაწყდება 15, 27 ივნისს.

ახლა კი ამით დაგემშვიდობებით, შემდეგ შეხვედრამდე!

სტატიის სიუჟეტი მომზადდა პროექტის დირექტორ ზაზა ხელაძესთან ერთად

მასალა შეგროვებულია იმერეთის რეგიონის ახლგაზრდული სამეცნიერო-საინფორმაციო ასოციაცია „ასა"-ს მიერ პროექტის „მივიტანოთ ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი ქუთაისელებამდე" ფარგლებში, რომელიც სრულდება ფრიდრიხ ებერტის ფონდთან პარტნიორობით

კვირის ჰოროსკოპი

ვერძი: მოგიწევთ დაუგეგმავი ხარჯები, არ არის გამორიცხული არასასიამოვნო ამბის გაგება.

კურო: თუ თქვენი გეგმების განხორციელება აქამდე ვერ შეძელით, მიზეზი მხოლოდ თქვენშია. შეიცვალეთ იმიჯი, მუშაობის სტილი, ცხოვრების წესი.

ტყუპები: საქმიან ურთიერთობაში ყურადღება გმართებთ. თუ დაფიქრდებით, დარწმუნდებით, რომ თქვენი საქმეები არცთუ ისე ცუდადაა.

კირჩხიბი: ფულთან სიფრთხილე გმართებთ. ხელგაშლილობით ნუ გაერთობით, თორემ ვალები დაგეედებათ.

ლომი: თამამად შეუდექით საკუთარი მიზნების განხორციელებას. მდგომარეობა თქვენს სასარგებლოდ აეწყობა. უამრავ თანამოაზრეებს შეხვდებით.

ქალწული: მთელ კვირას საბუთებისა და საქმიანი ქაღალდების წერასა და კითხვაში გაატარებთ. ფინანსური მდგომარეობა ნამდვილად გამოგისწორდებათ. ოჯახის წევრებს შორის მომრიგებლის როლს მშვენივრად ართმევთ თავს. თუმცა, ამან თქვენი პირადი გეგმები შეიძლება, შეცვალოს კიდეც. სასიყვარულო ფრონტზე ყურადღება და სიფრთხილე გმართებთ, რადგან დაუფიქრებლად ნათქვამ სიტყვას ბევრი რამის გაფუჭება შეუძლია.

სასწორი: გირჩევთ, დროებით გადადოთ მოუგვარებელი საქმეები და მათ შესასრულებლად დრო არ დახარჯოთ. შეეცადეთ, ყოველდღიური საქმიანობით შემოიფარგლოთ.

მორიელი: ნუ იქნებით ინერტული, იაქტიურეთ სასურველი მიზნის მისაღწევად. კომპრომისზე წასვლა მოგიწევთ. გარკვეული პერიოდის შემდეგ დარწმუნდებით, რომ სწორად მოიქეცით. ნუ მისცემთ მეგობრებს საბაბს, რომ ცარიელ თავთავს შეგადარონ.

მშვილდოსანი: ფინანსური საკითხები ამ პერიოდში აქტუალური იქნება. ეცადეთ, სტრესული სიტუაციები თავიდან აიცილოთ.

თხის რქა: პირადი პრობლემების ანალიზი და კრიტიკული მიდგომა თქვენს ოჯახურ ურთიერთობებს გააუარესებს. ეცადეთ, იყოთ მიმტევებელნი, მომთმენნი და ოჯახის წევრების დახმარებით ერთობლივად მიაგნოთ გამოსავალს.

მერწყული: მნიშვნელოვანი საქმეების დაწყების, ახალი ცოდნის მიღების დროა. გადაწყვეტილებები დამოუკიდებლად მიიღეთ.

თევზები: წარმატებული დროა სხვადასხვა სახის მოლაპარაკებებისთვის. ნებისმიერ კამპანიაში თავს ლაღად იგრძნობთ. ეცადეთ, კარგი გუნება-განწყობილება მთელი კვირის მანძილზე შეინარჩუნოთ.

წინა ნომრის კროსვორდის პასუხები

თარაზულად: 3. იოკასტე. 5. ტაიმი. 6. რეა. 8. ბაი. 9. ლაზარ. 11. იანვარი.
შვეულად: 1. სკამი. 2. ასო. 3. ირავადი. 4. ერევანი. 7. მარატ. 10. გნუ.

ახალი მედიის ასოციაციის საგანგებო განცხადება

ბოლო პერიოდში საჯარო მოხელეების მხრიდან გაზშირდა ჟურნალისტების ღირსების შეურაცხმყოფელი და მუქარის შემცველი განცხადებები.

ტელეკომპანია 25-ე არხმა 9 ივნისს გაავრცელა აჭარის უმაღლესი საბჭოს წევრს მედეა ვასაძესა და ჟურნალისტ ჯაბა ანანიძეს შორის შემდგარი სატელეფონო საუბრის ჩანაწერი, რომელშიც დეპუტატი ჟურნალისტის პირად ცხოვრებასაც ეხება, ცდილობს მის დაშანტაჟებას და ემუქრება.

ტელეკომპანიის ინფორმაციით, ტელეარხ 25-ის ეთერში ჯაბა ანანიძის მიერ მომზადებული საგამოძიებო ფილმი — „უმაღლესი კომფორტით“ გავიდა. ფილმი აჭარის უმაღლესი საბჭოს დეპუტატების საბიუჯეტო ხარჯებსა და მათი საქმიანობის ეფექტიანობას ეხებოდა. აღნიშნული სატელეფონი საუბარიც ამის შემდეგ შედგა.

საჯარო მოხელეებმა ღირსების შეურაცხმყოფელი განცხადებები, რამდენიმე დღის წინ, კახეთის საინფორმაციო ცენტრის რედაქტორის გელა მთივლიშვილის მიმართაც გაავრცელეს. 4 ივნისს გამართულ პრესკონფერენციაზე ჟურნალისტი საქართველოს პრემიერ-მინისტრ ირაკლი ღარიბაშვილს პირდაპირ ეთერში შეეპასუხა და სამინისტროებში დიდი რაოდენობით გაცემულ პრემიებთან და ნეპოტიზმთან დაკავშირებით კითხვები დაუსვა.

იმავე დღეს, ორმა სახელმწიფო მოხელემ: ენერგეტიკის სამინისტროს ქვემდებარე სახელმწიფო შპს „საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაციის“ საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის უფროსმა ნინო ჯღარკავამ, რომელიც პრემიერის ოჯახთან დაახლოებული პირია და კახეთის საოლქო პროკურორმა ტატო მარგებაძემ, სოციალურ ქსელ „ფეისბუქში“ ჟურნალისტის პატივის, ღირსებისა და საქმიანი რეპუტაციის შემლახველი **განცხადებები გაავრცელეს,** რაც ჟურნალისტის და მედიაორგანიზაციის მიზანმიმართული დისკრედიტაციაა.

საჯარო სამსახურის შესახებ საქართველოს კანონის მე-13 მუხლის თანახმად, საქართველოში საჯარო სამსახურის ძირითადი პრინციპებია: ადამიანის და მოქალაქის უფლებების, თავისუფლებების და ღირსების პატივისცემა;

ახალი მედიის ასოციაცია მოუწოდებს:

კოალიცია „ქართულ ოცნებას“ — გამოხატონ საკუთარი პოზიცია და დააყენონ იმ პირთა პარტიული, თანამდებობრივი თუ სხვა შესაბამისი პასუხისმგებლობის საკითხი, რომლებიც პატივს არ სცემენ ადამიანისა და მოქალაქის უფლებებს, საჯაროდ აკეთებენ ღირსების შეურაცხმყოფელ, მუქარისშემცველ განცხადებებს და ჟურნალისტსა და მედიაორგანიზაციაზე ახორციელებენ ზეწოლას.

საქართველოს სახალხო დამცველს უჩა ნანუაშვილს, უფლებადაცვით არასამთავრობო ორგანიზაციებს — მეტი, თანაბარი და თანმიმდევრული ყურადღება გამოიჩინონ ჟურნალისტებზე ზეწოლის და საქმიანობაში ხელშეშლის ფაქტებზე და მოახდინონ მყისიერი და ადეკვატური რეაგირება.

საქართველოს მთავარ პროკურატურას და აჭარის უმაღლეს საბჭოს — გამოხატონ ოფიციალური პოზიცია მათი წარმომადგენლების მიერ საჯარო სივრცეში ჟურნალისტების ღირსების შეურაცხყოფის ფაქტებთან და მათზე ზეწოლასთან დაკავშირებით.

psnews.ge

ნეკროლოგი

ნინო სვანაძე-რობაქიძეს, მალხაზ, რამაზ, ვერიკო, ლია სვანაძეებს ვუსამძიმრებთ მამის, **მიშა სვანაძის** გარდაცვალების გამო.

ბესიკ ბელიაშვილი და **შორენა ლუტიძე**

როგორ განვათავსოთ განცხადება გაზეთ „P.S.“-ში („პოსტსკრიპტუმში“)

უფასოდ

ქვემოთ მოცემულ კუპონზე

განცხადებების მიღება ხდება კერძო პირებიდან

დაბეჭდვის თარიღი დამოკიდებულია კუპონის მიწოდების თანმიმდევრობაზე

კუპონი უნდა ჩაბარდეს

რედაქციაში - ქ. ქუთაისი, რუსთაველის ქუჩა 37ª;

სავაჭრო ცენტრ „ფუდმარტში“(ყოფილი „პოპული“) - წიგნების მაღაზია „ქიმერიონი“, რუსთაველის 141.

არ მიიღება კანონთან შეუსაბამო, შეურაცხმყოფელი, უხამსი, ეროტიკული შინაარსის განცხადებები.

განცხადების ღირებულება შედის გაზეთის ფასში

მცირე განცხადების კუპონი

აღნიშნე კატეგორია

უძრავი ქონება
- [ ] გავყიდი
- [ ] ვიყიდი
- [ ] გავაქირავებ

ავტო-მოტო
- [ ] ვიყიდი
- [ ] გავყიდი

სამსახური
- [ ] ვეძებ სამუშაოს

სხვადასხვა
- [ ] ვიყიდი
- [ ] გავყიდი
- [ ] სხვა
- [ ] ცხოველები

განცხადების შინაარსი

ტელ: >>

სახელი და გვარი (მხოლოდ რედაქციის ცნობისათვის)

კონტაქტი (მობილური ან სტაციონალური)

ელექტრონული ფოსტის მისამართი

- [ ] **არ ვარ განცხადების შინაარსთან დაკავშირებული კერძო მეწარმე**
- [ ] ვაცხადებ თანხმობას, ფირმის მიერ გამოყენებულ იქნას განცხადებაში აღნიშნული მონაცემები

ხელმოწერა გარკვევით

რედაქციას აქვს უფლება, კუპონზე შევსებული ერთჯერადი განცხადება დაბეჭდოს კუპონის ჩაბარების დღიდან 14 დღის განმავლობაში კუპონი (ერთჯერადი) არის ძალაში მისი გამოქვეყნების დღიდან 3 კვირის განმავლობაში.

16.06.2014



შეადგინა ალეკო ნემსაძემ

ვინ არის ფოტოზე?

პასუხი წინა ნომრის ფოტო-ვიქტორინაზე

ნიკა მელია პირველად **იამზე ჭიჭინაძემ** ამოიცნო, შემდეგ დაგვიკავშირდა სულიკო ფუტკარაძე, ლუიზა ლაკერბაია.

რას დაარქმევდით?

ბიძინა ივანიშვილი

დავით ნარმანია

ალენ დალესის დროშით გათახსირებულ შემოსეულებს უფსკრულში ღიღინით მივყავართ. ვისთვის რას იტყვი?

შაქრო გაბელაშვილი

პასუხი წინა ნომრის ფოტო-ვიქტორინაზე

დავით ნარმანია

დაგვიკავშირდით:
- **(0 431) 24-45-46, 24-82-25.**
- **psnews27@gmail.com**

კროსვორდი

თარაზულად: 3.მთვარეზე ნამყოფი ასტრონავტი ... რუსა. 5. ტბა შუა აზიაში. 6. შეუწვავი და მოუხარშავი ხორცი. 8. ... პუგაჩოვა. 9. საერთაშორისო ტერმინი „ქვემოთ“, „დაწიე“, „დაუშვი“. 11. ზაფხულის თვე.

შვეულად: 1. ირანის ფულის ერთეული. 2. მიმართვა კაცისადმი იაპონიაში. 3. ეს ძაღლი რუსებმა კოსმოსში გაუშვეს. 4. პ. მერიმეს ნოველა 7. „წითელი“ პლანეტა. 10. მაგარი ქანი.



მსოფლიო დონის აღმოჩენა ხარაგაულის ნაკრძალში

გიგანტური ადამიანის ძვლები და „დისქავერის" ხუთკაციანი ექსპედიცია საქართველოში

საქართველოში „დისქავერის" ხუთკაციანი ჯგუფი ჩამოვიდა. მათი ვიზიტის მიზანია, ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნულ პარკში ურთულესი მონაკვეთის გავლა, ალპურ ზონაში ასვლა და ამ ყველაფრის გადაღება... ექსპედიცია უკვე დაიწყო.

ყველაფერს კი 6 წლის წინ ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნულ პარკში ჩატარებული ქართველი სპეციალისტების ექსპედიციით ჩაეყარა საფუძველი, რომელსაც ასეთი ფაქტი უძღვოდა: აკრძალულ ზონაში, მწყემსებმა, გაუკვალავ გზაზე, ნახირის აყვანის შემდეგ, სამარხი აღმოაჩინეს, რომელშიც (სავარაუდოდ) გიგანტური ადამიანის ძვლების ფრაგმენტები დახვდათ. ამასთან, იქვე ნატაძრალიც იყო... ეს ამბავი ქუთაისში პროფესორს, არქეოლოგ ერეკლე ჯულაყიძეს აცნობეს. მაშინვე ენთუზიასტების ჯგუფი შეიკრიბა, რომელთაც აღნიშნულ მონაკვეთზე ასვლის სურვილი გაუჩნდათ. იმ ჯგუფში იყო ჟურნალისტი ლელა ნინუაც (ამის შესახებ მაშინ მახსოვს, მეც ვწერდი. ბატონმა ერეკლემ ექსპედიციის მონაწილეებს გიჟური იდეის ავტორები დაარქვა). ჯგუფმა დანიშნულების ადგილამდე რთული გზა განვლო... მათ მიერ გადაღებული ვიდეომასალით კი იმ პერიოდში უცხოური არხები ინტერესდებოდნენ, მუდმივად ეხმიანებოდნენ ექსპედიციის მონაწილეებს. ამჯერად კი „დისქავერი" დაინტერესდა და ქართველ სპეციალისტებთან ერთად, იმ მონაკვეთის ხელახლა გასავლელად და გადასაღებად ხუთკაციანი ჯგუფიც ჩამოვიდა. 8 ივნისს ყველანი ერთად, იმ გზაზე დაიძრნენ, რომელიც ქართულმა ექსპედიციამ 2008 წელს გაიარა.

ლელა ნინუა (ინტერვიუ გამგზავრებამდე მოგვცა. — ავტ.):

— ექსპედიცია არ შედგებოდა, რომ არა ეს ენთუზიასტი ადამიანები. პირველად, 6 წლის წინ, ნამდვილად არ ვიცოდით, სად მივდიოდით, იქ რა დაგვხვდებოდა, ან რას აღმოვაჩენდით, — ამიტომაც ჩვენი საქციელი სიგიჟედ მოინათლა... სამი დღე ფეხით ალპურ ზონაში ავდიოდით. უამრავი სირთულე გადავლახეთ, 16 საათი მარტო გაყინულ მდინარეზე ვიარეთ, მერე ნისლი ჩამოწვა და თქეში წამოვიდა... ვერც ვიძინებდით. ტყეში, რა თქმა უნდა, იყვნენ მტაცებლებიც. ამიტომ ღამღამობით დიდ კოცონს ვანთებდით, რომელთანაც მორიგეობა გვქონდა დაწესებული, რომ ჩვენს კარავს მტაცებლები (მგელი, დათვი...) არ დასხმოდნენ. მხეცების დასაფრთხობად დიდი რკინის ნატეხებს ერთმანეთს ვურტყამდით, ბოლო ხმაზე ვყვიროდით. იმაზე არ არის ლაპარაკი, მინდვრის თაგვები და მცირე ზომის ქვეწარმავლები რომ ზედ გადაგვდიოდნენ, როცა კარვებში ცოტას ჩაგვთლემდა ხოლმე, მაგრამ ისეთი დაღლილები ვიყავით, მათი მოგერიების თავი აღარ გვქონდა. მოკლედ, მთა, კლდე, მდინარე, ჩანჩქერი, — ყველანაირი წინააღმდეგობის დაძლევა მოგვიხდა. დანიშნულების ადგილზე ორი დღე დავყავით, სადაც მართლაც დაგვხვდა ეკლესიის ნაკვალევი, ადამიანის განმარხებული ძვლები (დაუმარხავი ადამიანი ვულკანურ ქანებსა და ქვებში მოექცა). მოკლედ, მათი იდენტიფიცირება ჯერ არ მომხდარა... მოკლედ, აღნიშნული ადგილი პალეონტოლოგების შესასწავლია.

— უძველეს ლიტერატურაში მოხსენიებულია ფაქტები, რომ არსებობდნენ გიგანტური ადამიანები. ამაზე ძველი ბერძნული მითოლოგიაც მეტყველებს...

— დიახ, იმ გიგანტი (სამმეტრიანი) ადამიანის კვალს მთელი მსოფლიო ეძებს, რომლებზეც ისტორიულ წყაროებში კარგად არის ახსნილი... სამწუხაროდ, ჩამოტანილი მასალა ნახა ერთადერთმა მსოფლიო დონის პალეონტოლოგმა, მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტმა აბესალომ ვეკუამ. ის ეროვნული მუზეუმის მთავარი მეცნიერ-თანამშრომელი გახლდათ, რომლის სიტყვას ყველა ენდობოდა (სამწუხაროდ გარდაიცვალა).

ჩვენი ექსპედიციის შემდეგ წერდა: „სარკოფაგის ტიპის სამარხი ვნახე, სადაც ეყარა ძვლები, რომელიც თავიდან მღვიმური დათვის მეგონა. თუმცაღა შევცდი, ეს ნამდვილად ადამიანის ძვლებია. მის სიგრძეს განსაკუთრებული ზღვარი უდევს მინიმუმიდან მაქსიმუმამდე — ბარძაყის ძვლისა და დიდი წვივის ქვედა და ბოლო ფრაგმენტის. გამოდის, რომ ის ერთი ადამინის საკუთრებაა, რომელიც გოლიათი ყოფილა."

— „დისქავერის" მიზანი ამ კონკრეტულ შემთხვევაში რა არის?

— იღებენ ფილმს. ექსპედიციას ჩვენი მხრიდან მხოლოდ 5 წევრი უნდა გავყვეთ და მათგანაც 5-ია. იგივე მარშრუტი უნდა გავიაროთ... „დისქავერელებმა" თქვეს, სულ რომ არაფერი აღმოვაჩინოთ, მხოლოდ გზა და ბუნება რომ გადავიღოთ, ესეც საკმარისი იქნებაო...

— 6 წლის შემდეგ ახლა როგორი განცდებით მიდიხარ?

— რომ მახსენდება ის განსაცდელი, რაც მაშინ გვქონდა, ახლა სერიოზულად მაკანკალებს... მაშინ გამგზავრებისას ასე არ ვღელავდი...

— როგორც მახსოვს, მაშინაც და ახლაც ამ ექსპედიციის შემადგენლობაში ერთადერთი ქალი იყავი და ხარ...

— კი, ასეა.

ოთარ ბაღათურია, პროფესორი, ჯგუფის ხელმძღვანელი:

— ჩვენი ექსპედიცია, პირველ რიგში, მსოფლიოს მასშტაბით საქართველოს პოპულარიზაციას ემსახურება. მერე ვიწრო ინტერესიც არის: ყველაფერი იმ ადგილით დაინტერესების გამოწვევას ემსახურება იმისთვის, რომ იქ შემდეგში მუდმივმოქმედი ექსპედიცია დაფუძნდეს, რომელიც იქაურობას საგულდაგულოდ შეისწავლის. თუ ასეთი დაინტერესება მოხდება, დაწვრილებით და კარგად იქნება შესწავლილი ტერიტორია, მერე ფინანსური მხარდაჭერაც გახდება საჭირო... მაგრამ ჯერ „დისქავერიზე" ამ ყველაფრის გაჟღერებამ ეს დაინტერესება შეიძლება გამოიწვიოს. თუ იქ კიდევ სხვა ძვლის ფრაგმენტებიც აღმოჩნდა და სრულფასოვანი ჩონჩხის რეკონსტრუქცია მოხდა, ამასთან, დამტკიცდა ისიც, რომ ეს არის გიგანტური ადამიანი, — ეს უკვე საინტერესო და მრავალმხრივი კვლევის თემა გახდება.

— თქვენი ვარაუდით, ნამდვილად ადამიანის ძვლებია?

— დასადგენია გიგანტური ძვლები ვისია — გიგანტოპითეკის (ადამიანის მსგავსი მაიმუნი, ოღონდ, უფრო მაიმუნისკენ რომ იხრება), მეგანთროპის (ადამიანსა და მაიმუნს შორის რომ არის), თუ ჰომოგიგანტიკუსის (გიგანტური ადამიანი). თუ დამტკიცდა, რომ ის ადამიანების ერთ-ერთი წინაპარია, ცხადია, მნიშვნელოვანი თემაა... მერე უნდა დადგინდეს ქართველია თუ არა. საერთოდაც მაინტერესებს, ბაღათურია ხომ არ არის, რადგანაც, „ბაღათური" ბევრ ენაში (ქართული, ინდური, ოსური, ირანული, მონღოლური, სლავურ ენებში) გოლიათს ნიშნავს: „ბაღათარი", „ბაადური", „ბაჰადური", „ბაგატირ", დიახ, დევკაცია. მოკლედ, ეს ყველაფერი როგორც გვარად ბაღათურიას, მე ისედაც მაინტერესებს... მაგრამ იმის შანსი, რომ იქ რბილი ქსოვილები აღმოჩნდეს, თუნდაც, პაწაწუნა ნაწილებიც, დეენემის ანალიზი რომ გაკეთდეს, მიზერულია. ამიტომ, ამაზე ფსონს არც ვაკეთებთ... თუმცა ვნახოთ.

— ალბათ ექსპედიციამ იქ მუდმივად უნდა ჩიჩქნოს რაღაც, რომ იქნებ ასეთ კვალსაც მიაგნოს...

— დიახ და მაშინ უკვე იმის იდენტიფიცირებაც მოხერხდება, ვინ არის ის და არის თუ არა ჩემი წინაპარი?

— თუ ამას მიაღწევთ, მაშინ თქვენი გვარის ღირსეული შთამომავალი იქნებით...

— „დისქავერი" იმაზე შევიპირე, რომ თუ ისეთი რბილი ქსოვილები აღმოჩნდება იქ, რაზეც უკვე მოგახსენეთ, რომ დეენემის ანალიზი გაკეთდეს, მაშინ ჩემს დეენემსაც წაიღებენ...

— საკმაოდ რთული მონაკვეთის გავლა გიწევთ. მზად ხართ ამ ყველაფრისთვის?

— ფიზიკური გამოცდის ჩაბარება გზაში ნამდვილად მომიწევს. ექვსი წლის წინ უკეთეს ფორმაში ვიყავი, მაგრამ მაინც გავქაჩავ. რაც მთავარია, მორალურად ვარ მზად და ასეთი მზაობით იწყება ყველაფერი...

— მტაცებლების არ გეშინიათ?

— ძალიან მეშინია, სინამდვილეში — არა, ისინი ადამიანს უფრთხიან. შეიძლება ადამიანს მგელი, ფოცხვერი, ან დათვი დაესხას, მაგრამ თუ მარტოა, იმ შემთხვევაში. იქ იარაღი აკრძალულია, რადგანაც ნაკრძალია... წინა ექსპედიციისას ასეთ რაღაცას შევესწარით: იქ მწყემსები არიან და უცებ ხარმა ბღავილი ატეხა, გამოცვივდნენ მწყემსები. დათვს ხარი მოეგდო, მაგრამ ადამიანები რომ დაინახა, მიატოვა ნადავლი და გაიქცა, თუმცა ხარის დატორვა კი მოასწრო. მოკლედ, ადამიანების ეშინიათ. რაკი ამდენი ვართ, მათგან თავის დაცვა არ გაგვიჭირდება...

ლალი ფაცია
„ამბები.ge"

MEGA CREDIT
ფულადი გზავნილები
ქუთაისი, რუსთაველის 141. (0 431) 27 52 45; ჭავჭავაძის 55/2. (0 431) 27 67 10

წიგნების მაღაზია ქიმერიონი
qimerioni.ge
ყოველგვარი ფასნამატის გარეშე შეიძინეთ:
• ქართული თუ უცხოური ლიტერატურა;
• კლასიკოსი და თანამედროვე მწერლების ნაწარმოებები;
• მაღალპოლიგრაფიულ დონეზე გამოცემული საბავშვო შემეცნებითი და გასართობი წიგნები;
• სამეცნიერო ხასიათის გამოცემები;
• ენციკლოპედიები;
• ლექსიკონები;
• ჟურნალ-გაზეთები
წიგნები შენ გელოდება!
ქუთაისი, სავაჭრო ცენტრი „ფუდმარტი" (ყოფილი „პოპული"), წიგნების მაღაზია „ქიმერიონი".
ტელეფონი: 790 927 927; (0 431) 274 474

პრესკონფერენციები, ბრიფინგები, პრეზენტაციები
PSpress-კლუბი

ქუთაისი, რუსთაველის 37ა (პრესის სახლი). 599 10 77 94